ახალი განათლება

03-09.05.2018

№15 (809) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ახალ კანონს რეფორმის ახალი ტალღა მოჰყვება



გვერდი 4

მიმდინარე წელი საჯვანძო წელია პროფესიული განათლების სისტემისთვის, იადგან საქართველოს მთავრობისთვის უკვე წარდგენილია ახალი კანონი (პროექტი) პროფესიული განათლების შესახებ. კანონპროექტი მომზადდა დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით, მისი მიღება სამართლებრივ საფუძველს შეუქმნის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში და ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ახალი სისტემის ფორმირებას. კანონპროექტში შემოთავაზებულია მთელი რიგი მიდგომებისა, რომელთა მეშვეობითაც სისტემა უფრო ეფექტურად უპასუხებს დღეს არსებულ გამოწვევებს, ასევე უზრუნველყოფს ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებასა და თავსებადობას.

ქეთევან ნატრიაშვილი

ლტოლვილ მოსწავლეთა ინტეგრაციის ხელშესაწყობად

გვერდი 2

შეიძლება ის ტრავმული მდგომარეობა, რაც ბავშვებს აქვთ, გარეგნულად, საჯარო ოთახში თვალშისაცემი არ იყოს, მაგრამ ამ სიმშვიდისა და შეუმჩნევლობის მიღმა ის დიდი ტრაგედია დგას, რომელიც მათ გამოიარეს. შესაძლოა, სწორედ ამ ტრავმული მდგომარეობის გამო არიან ასე „შეუმჩნევლები“. შეიძლება ისიც ჯერ მოგეჩვენოთ, რომ თავიანთ ასაკთან შედარებით ზედმეტად ჩამოყალიბებულები არიან და განსაკუთრებულად მონდომებულები, რომ სახელმწიფო ენა სწრაფად ისწავლონ. ამის მიზეზი ჯერ ის არის, რომ მათ ჯარგად იციან, ეს ერთ-ერთი გზაა დაეხმარონ საკუთარ ოჯახებს უცხო ქვეყანაში თავის დამკვიდრებაში. ამიტომაა ძალიან მნიშვნელოვანი, მასწავლებლებს, რომლებიც ასეთ ბავშვებთან მუშაობთ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია გქონდეთ ლტოლვილების შესახებ და იმის შესახებ, როგორ გაუმკლავდეთ პრობლემას ისე, რომ მათი სწორი ინტეგრაცია მოხდეს საზოგადოებაში.

იოჰანეს ფან დერ ჯლაე

არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის



ს ი ა ხ ლ ე

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად, „ახალი განათლების“ ფიგნის თარო, 1 მაისიდან, შემოგთავაზებთ სპეციალურად არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის, გამოცემულ კრებულებს „მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით“.

დაგვიკავშირდით:
599 88 00 73, 295 80 23

ფასი – 9 ლარი

პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

Կարևոր հարցեր պատասխաններով

გვერდი 6

ПРОФЕСИУЛИ ГАНВИТАРЕБА

ლტოლვილ მოსწავლეთა ინტეგრაციის ხელშესაწყობად

ლალი ჯელაძე

ბოლო წლებში, საქართველოში, საგრძნობლად იმატა ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელ მოსწავლეთა შემოდინებამ, რომელთა სასკოლო საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის მასწავლებელს უმთავრესი როლი აკისრია. სწორედ ამიტომ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის თანამშრომლობით, საქართველოში პირველად, ლტოლვილ მოსწავლეთა მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების კურსი შეიქმნა – „სკოლაში უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა ლტოლვილ მოსწავლეთა ინტეგრაციისთვის სასკოლო საზოგადოებაში“.

პროგრამის პრეზენტაცია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, 1 მაისს გაიმართა და ცნობილი გახდა, რომ ცენტრი, მოდულის მიხედვით, ზაფხულიდან გეგმავს იმ მასწავლებლების გადამზადებას, ვინც ლტოლვილ მოსწავლეებს ასწავლის. ასეთი მასწავლებლების რიცხვი საკმაოდ გაიზარდა, რადგანაც უკვე 24 საჯარო სკოლაში არიან გადანაწილებული ლტოლვილი ბავშვები. ცენტრის დირექტორი **გიორგი მაჩაბელი** აცხადებს, რომ საქართველო, ამ შემთხვევაში, დახმარების მიმღები კი არა, გამცემია და ეს კიდევ უფრო ზრდის ქვეყნის პასუხისმგებლობას. კონკრეტული მოდული კი დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს ლტოლვილი მოსწავლეების სასკოლო საზოგადოებაში უმტკივნეულოდ ინტეგრაციაში. *„პროგრამაში გამოყენებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მასალები და მოიცავს სხვადასხვა საკითხს, მათ შორის იმ მიზეზებს, რამაც შეიძლება ადამიანი ლტოლვილად აქციოს, ასევე, საერთაშორისო და ეროვნულ სამართლებრივ დოკუმენტებს, რომელიც არეგულირებს ლტოლვილთა საკითხებს და იცავს ომის მსხვერპლად ქცეულ ადამიანებს. მოდულში შესულია, ასევე, ინფორმაცია იმის შესახება, თუ რა თავისებურებებს აწყდებიან მასწავლებლები ლტოლვილ ბავშვებთან ურთიერთობისას. მოდულზე მუსაობის წარმატებით დასრულებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა განათლებისა და მეცნიერების და განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროებთან თანამშრომლობამ. ის დიდ დახმარებას გაუწევს მასწავლებლებს ლტოლვილ ბავშვებთან მუშაობისას.“* – აღნიშნა გიორგი მაჩაბელმა.

პრეზენტაციას გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლობის სამხრეთ კავკასიაში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) რეგიონული მისიის ხელმძღვანელი **იოჰანეს ფან დერ კლაუ** ესწრებოდა, რომელმაც ამ ინიციატივის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე ისაუბრა. განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ცენტრის დირექტორს, გიორგი მაჩაბელს და მოდულის ავტორებს – **ნინო გვარამაძესა** და **მარიკა სიხარულიძეს** გაწეული შრომისთვის, ზოგადად, იმ თანამშრომლობისთვის, რასაც ცენტრი ლტლოლვილი ბავშვების ინტეგრირების პროცესში ახორციელებს. მისიის ხელმძღვანელს მნიშვნელოვნად მიაჩნია, საქართველომ ლტოლვილი ბავშვების ინტეგრაციაზე ზრუნვა რომ დაიწყო. მისი შეფასებით, ეს უმნიშვნელოვანესი პროცესია, რადგან უცხო ქვეყანაში ოჯახების ინტეგრირება, ძირითადად, მათი შვილების მეშვეობით ხდება – ბავშვები გაცილებით ადვილად ითვისებენ ადგილობრივ ენას და ამით მშობლებსაც უადვილებენ საზოგადოებაში ინტეგრაციას. *„სამწუხაროდ, საქართველოსთვის კარგად ნაცნობია, რას ნიშნავს ტერიტორიების ოკუპირება და ის მზადაა სხვა ქვეყნებიდან მიიღოს ლტოლვილები. ეს ძალიან დასაფასებელი ფაქტია* – ამბობს იოჰანეს ფან დერ კლაუ, – *დღეისათვის საქართველოში 2 000-მდე ლტოლვილია (ეს რიცხვი მოიცავს როგორც ლტოლვილის სტატუსის მქონე, ისე ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს), რომელთა წარმოშობის ქვეყნებია ერაყი, სირია, ეგვიპტე და სხვ. მათგან უმეტესობას, აქ რომ ჩამოსულიყო ძალიან გრძელი და რთული გზა აქვს გამოვლილი, თავი დააღწიეს კონფლიქტურ სიტუაციებს, საომარ მოქმედებებს და სურთ, ახლა აქ დაიმკვიდრონ თავი და მშვიდ გარემოში გააგრძელონ ცხოვრება. შეიძლება ის ტრავმული მდგომარეობა, რაც ბავშვებს აქვთ, გარეგნულად, საკლასო ოთახში თვალშისაცემი არ იყოს, მაგრამ ამ სიმშვიდისა და შეუმჩნევლობის მიღმა ის დიდი ტრაგედია დგას, რომელიც მათ გამოიარეს. შესაძლოა, სწორედ ამ ტრავმული მდგომარეობის გამო არიან ასე „შეუმჩნევლები“. შეიძლება ისიც კი მოგეჩვენოთ, რომ თავიანთ ასაკთან შედარებით ზედმეტად ჩამოყალიბებულები არიან და განსაკუთრებულად მონდომებულები, რომ სახელმწიფო ენა სწრაფად ისწავლონ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მათ კარგად იციან, ეს ერთ-ერთი გზაა დაეხმარონ საკუთარ ოჯახებს უცხო ქვეყანაში თავის დამკვიდრებაში. ამიტომაა ძალიან მნიშვნელოვანი, მასწავლებლებს, რომლებიც ასეთ ბავშვებთან მუშაობთ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია გქონდეთ ლტოლვილების შესახებ და იმის შესახებ, როგორ გაუმკლავდეთ პრობლემას ისე, რომ მათი სწორი ინტეგრაცია მოხდეს საზოგადოებაში.*

იმედი გვაქვს, ადგილობრივი ბავშვებიც თანასწორუფლებიანად მიიღებენ თანატოლებს და თავს იზოლირებულებად არ აგრძნობინებენ. ასეთი ურთიერთობები, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს ლტოლვილი მოსწავლეების წარმატებით ინტეგრირებას.“

ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ არა მხოლოდ მასწავლებლებმა და თანატოლებმა, არამედ მთელმა საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს ბავშვების პოსტტრავმული მდგომარეობა და შესაბამისად მოეპყრონ მათ. რაც შეეხება მოდულს, რომელიც მასწავლებლებისთვის მომზადდა, ამბობს, რომ ცენტრმა საკმაოდ შრომატევადი საქმე გასწია და იმედია, პედაგოგებს მოეწონებათ. რეკომენდაცია მისცა მასწავლებლებს, აუცილებლად გაეცნონ დოკუმენტში თავმოყრილ მასალას, რომელიც არა მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო საკითხებს აერთიანებს, არამედ იმ ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც მოიცავს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს სასწავლო პროცესში.

„ვაფასებ თქვენს დაინტერესებასა და მონდომებას, რაც უკვე გამოხატეთ დღეს აქ მობრძანებით. დარწმუნებული ვარ, ტრენინგ-კურსის გავლის შემდეგ, გაცილებით გაგიიოლდებათ ლტოლვილ ბავშვებთან ურთიერთობა. ამის გარდა, ცნობილია, რომ თქვენ ძალადობის აღმოფხვრის შესახებაც გადიხართ ტრენინგებს. ეს თემები საკმაოდ მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და მათი ერთობლიობა საუკეთესო შედეგებზე გაგვიყვანს.

სკოლებში ადგილობრივ მოსწავლეებთან შეხვედრებიც იგეგმება, სურვილი გვაქვს, მათი ცნობიერება გავზარდოთ ლტოლვილთა საკითებთან დაკავშირებით. გვინდა, ლტოლვილი ბავშვების ოჯახებიც მოვიწვიოთ სკოლებში და გაკვეთილებზე დასწრების საშუალება მივცეთ, რომ საკუთარი თვალით ნახონ და შეაფასონ, როგორ ექცევიან მათ შვილებს მასწავლებლები ან როგორ ზრუნავს სკოლა ბავშვების ინტეგრაციაზე. სასურველია დისკუსიების გამართვა არსებულ მრავალფეროვნებაზე, რომელსაც ლტოლვილობა იწვევს. ბავშვების განათლების გარდა, ზრდასრულ ლტოლვილთა ინტეგრაციაზეც ძალიან აქტიურად ვმუშაობთ, ამიტომ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსთან. ერთობლივად ვახორციელებთ სხვადასხვა მიმართულების მნიშვნელოვან აქტივობებს. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სახელმწიფო ენის შესაწავლა.“

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი, მოდულის ერთ-ერთი ავტორი ნინო გვარამაძე მოდულის შინაარსობრივ მხარეზე საუბრობს და ყურადღებას იმ მნიშვნელოვან თემებზე ამახვილებს, რომელსაც ეს დოკუმენტი აერთიანებს. პირველი ვრცელი თემა ლტოლვილების შესახებ ინფორმაციაა, დაწყებული დეფინიციიდან და წარმოშობის მიზეზებით დასრულებული. ამბობს, რომ, სამწუხაროდ, ლტოლვილად ქცევას სახარბიელო მიზეზები არ აქვს და მასწავლებლები დეტალურად უნდა იცნობდნენ ამ მიზეზებსაც და იმ საერთაშორისო თუ ეროვნულ სამართლებრივ დოკუმენტებს, რომელიც მათ იცავს.

ნინო გვარამაძე: *„მოდულის შექმნის მიზანი მასწავლებლების დახმარებაა. ისინი გარკვეულ სირთულეებს მაშინაც კი აწყდებიან, როცა კლასში ახალი მოსწავლე გადმოდის სხვა სკოლიდან, მით უფრო მეტი პრობლემა იჩენს თავს, როცა სკოლაში ლტოლვილი ბავშვი მოდის. ისინი ძალიან მძიმე გამოცდილების მქონე ბავშვები არიან, ამიტომ მასწავლებელს სჭირდება გარკვეული ცოდნა და ინსტრუმენტი, რომ უმტკივნეულო გახადოს მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.*

მოდულში ცალკე თემადაა გაშლილი ლტოლვილი ბავშვების სტრესი და ტრავმა. მასწავლებლებს, საგაკვეთილო აქტივობების გარდა, არასაგაკვეთილო აქტივობებსაც ვთავაზობთ, რადგან არასაგაკვეთილო ვითარებაში გაცილებით იოლია ბავშვების ინტერაქცია. ამიტომაც მნიშვნელოვანია, პედაგოგს სწორად ჰქონდეს დანახული პრობლემა და შესაბამისად, ზუსტად შერჩეული აქტივობა.

მოდულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი ლტოლვილი ბავშვების მშობლებთან ურთიერთობაა. შეიძლება მშობელს, რომელიც ასევე პოსტტრავმულ მდგომარეობაში იმყოფება, გაუჩნდეს გარკვეული პრეტენზია ან შენიშვნა. როგორ ექცევიან მის შვილს. ამიტომაც მას უნდა მივცეთ საშუალება, თავად ნახოს სკოლაში არსებული მდგომარეობა, დააკვირდეს გარემოს, სადაც მისი შვილი სწავლობს.

ასევე, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, გავაძლიეროთ ამ საკითხების სხვადასხვა საგნებში ინტეგრირება. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს სამოქალაქო განათლების პრეროგატივაა, თუმცა ეს არასწორია, რადგან ყველა საგანთან ინტეგრირება გაცილებით მეტ შესაძლებლობას და შედეგს მოგვცემს. რაც მთავარია, მთელი პროცესი იმის გათვალისწინებით მიმდინარეობს, რომ ლტოლვილ და ადგილობრივ ბავშვებს შორის მკვეთრი განსხვავებაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ საერთოც ბევრი აქვთ. დამხვდურ და მოსულ მოსწავლეებს შორის საერთო ინტერესები უნდა აღმოვაჩინოთ და წინ წამოვწიოთ. ასევე, მნიშვნელოვანია იმ განსხვავებებსა და მრავალფეროვნებაზე ხაზგასმაც, რომელიც კულტურულ სხვაობას მოაქვს. მართალია, ხშირ შემთხვევაში, ეს პრობლემებსაც წარმოშობს, მაგრამ აუცილებლად უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, რომ კაციობრიობისთვის სწორედ კულტურული მრავალფროვნებაა უდიდესი სიმდიდრე. ასეთი მიდგომით კიდევ უფრო გავაღრმავებთ ინტეგრაციის პროცესს.“

ამ აქტივობას პირველ ნაბიჯებად აფასებს განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოადგილე **შოთა რეხვიაშვილი**, თუმცა ამბობს, რომ ქვეყანამ, 2017 წლიდან, საკმაოდ წარმატებული ნაბიჯები გადადგა პროგრესისკენ, შეიქმნა ინტეგრაციის ცენტრი, სადაც საინტერესოდ ვითარდება ლტოლვილთა ინტეგრაციის პროექტი, უპირველეს ნაბიჯად კი, სახელმწიფო ენის შესწავლას ასახელებს. *„ინტეგრაციის ცენტრი არის როგორც საგანმანათლებლო, ისე საინფორმაციო სივრცე, რომელიც, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერით, ბევრ საინტერესო მიმართულებას ახორციელებს, მათ შორის ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხითაც – ლტოლვილ ადამიანებს ბიზნესის წამოწყების და თვითდასაქმების საშუალება მივეცით.*

რა თქმა უნდა, პრინციპულად მნიშვნელოვანია ბავშვთა ინტეგრაცია. რაც უფრო ადრეულ ასაკში იწყებენ ბავშვები უცხო ქვეყანაში თავის დამკვიდრებას, მით უფრო ეფექტურია შედეგი. ჩვენ მათ შეუზღუდავად უნდა მივაწოდოთ ინტეგრაციის ხელშემწყობი სერვისები, უპირველესი აქაც განათლებაა. სასკოლო გარემოში ინტეგრაციიდან ისინი საზოგადოებაში, ცხოვრებაში ინტეგრაციისთვის ემზადებიან და ამაში უმნიშვნელოვანეს როლს სწორედ მასწავლებლები ასრულებენ – სკოლა ცდილობს, პირველ რიგში, რომ ბავშვებმა უცხო ქვეყანაში მშვიდი თანაცხოვრება შეძლონ. თითოეული ლტოლვილი ბავშვის უკან, ხშირად, უმძიმესი ისტორიაა, ტრავმირებულ ბავშვებთან ურთიერთობაში განუზომელია მასწავლებლის როლი. მინდა წარმატებები გისურვოთ, მართლაც არაჩვეულებრივი ინიციატივაა და იმედია, არაერთი წარმატებული პროექტისა თუ ინიციატივის განმახორციელებელი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ამ წამოწყებასაც წარმატებით დაასრულებს.“

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2018 წლის ზაფხულიდან, გეგმავს ყველა იმ მასწავლებლის გადამზადებას, ვინც ლტოლვილ მოსწავლეებს ასწავლის. მოდულის ხანგრძლივობა 2 დღეა, 8 – საკონტაქტო და 4,5 – არასაკონტაქტო საათი, რომლის გავლის შემდეგ, მასწავლებელი ნახევარ კრედიტქულას მიიღებს. ლტოლვილი მოსწავლეებისთვის სკოლებში უსაფრთხო გარემოს შექმნა და სასკოლო საზოგადეოებაში მათი ინტეგრაციისთვის ხელშეწყობა, მოდულის გარეშეც, თითოეული მასწავლებლის, მოსწავლის და მთლიანად საზოგადოების საზრუნავია.

კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლა აცხადებს კონკურსს

პროფესორის (3 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (3 ვაკანტური ადგილი), ასისტენტ–პროფესორის (3 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტის (2 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ მიმართულებაზე:

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის

• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;

• სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის

• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;

• სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

გ) ასისტენტ-პროფესორისთვის

• დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;

• სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

დ) ასისტენტისთვის

• დოქტორანტი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის 2-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება;

• მოცემული დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში, არანაკლებ, 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3 წლიანი-გამოცდილება.

პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს კვალიფიციური პირი, პროფესიული ნიშნით. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავების აუცილებელი კომპეტენცია.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

• CV-რეზიუმე;

• პირადობის მოწმობის ასლი;

• კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში – ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში – დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები;

• სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;

• გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;

• სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ბოლო 5 წლის განმავლობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და მიმართულების სახელწოდება!

შენიშვნა: *კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ II ეტაპზე გადასულ შერჩეულ კანდიდატებს.*

საბუთების მიღება: 2018 წლის 3 ივნისიდან 2018 წლის 3 ივლისის ჩათვლით

ინფორმაცია

ინგლისური ენის მართლწერის ნაციონალური კონკურსი

ინგლისური ენის მართლწერის კონკურსის ეროვნული – საფინალო რაუნდი გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ს რექტორი **გიორგი შარვაშიძე**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **ქეთევან ნატრიაშვილი**, აშშ-ს საელჩოსა და მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლები, მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

„ინგლისური ენის მართლწერის ნაციონალური კონკურსი“ (NESC-GE) ამერიკული პროექტის – Spelling BEE ანალოგია და წელს უკვე მეხუთედ გაიმართა საქართველოში. მასში ჩართული იყვნენ VIII-XII კლასების მოსწავლეები საქართველოს რეგიონებიდან. წლევანდელ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 3600-ზე მეტმა მოსწავლემ, 450-მა მასწავლებელმა და 260-მა სკოლამ. კონკურსი სამი ეტაპისგან შედგებოდა. მონაწილეები ერთმანეთს რთული ინგლისური სიტყვების დამარცვლაში ეჯიბრებოდნენ.

თსუ-ს რექტორი გიორგი შარვაშიძე ამბობს, რომ ეს კონკურსი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ტარდება. *„საქართველოშიც შექმნილია ეროვნული კომიტეტი, რომელიც ატარებს ამ პროექტს. წელს ბევრმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, ბევრი სკოლაა ჩართული. კონკურსი შესაძლებლობას აძლევს ქართველ მოსწავლეებს და მათ მასწავლებლებს, გაიუმჯობესონ ინგლისური ენის ცოდნა, უნარ-ჩვევები,“* – განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

„განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ ეს კონკურსი პოპულარული ხდება ყოველ წელს და ამას მოწმობს სტატისტიკა. ასეთი ღონისძიებები ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასაც, რადგან ისინიც აქტიურად მონაწილეობდნენ ამ კონკურსში“, – აღნიშნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქეთევან ნატრიაშვილიმა.

NESC-GE საქართველოში მშვიდობის კორპუსის მოხალისეების მიერ დაფუძნდა და მას, როგორც ეროვნული მნიშვნელობის მქონე პროექტს, მხარს უჭერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ამერიკის საელჩო, ამერიკის მშვიდობის კორპუსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბრიტანეთის საბჭო საქართველოში, PH International, IWA და სხვ.

კონკურსი უნიკალურ შესაძლებლობებს აძლევს ქართველ ბავშვებს და მათ მასწავლებლებს გაიუმჯობესონ ინგლისური ენის ფლობის უნარები, წარმოაჩინონ თავიანთი სკოლა და თემი და გახდნენ ეროვნული კონკურსის მონაწილეები.

შეცდომის გასწორება

გაზეთ „ახალი განათლების“ მიმდინარე წლის 26 აპრილის ნომერში (26.04-02.05.2018) დაიბეჭდა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის განცხადება. სამწუხაროდ, ტექსტში დაშვებული იყო შეცდომა:

სოციალურ მეცნიერებათა კათედრის

ნაცვლად, უნდა ეწეროს:

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ПРОФЕСИУЛИ ГАНАТЛЕБА

ახალ კანონს რეფორმის ახალი ტალღა მოჰყვება

გასულ წელს დამტკიცდა ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი – განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (2017-2021), რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროფესიულ განათლებას; წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობას წარედგინა ახალი კანონპროექტი პროფესიული განათლების შესახებ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროფესიული განათლების ახალი სისტემის შექმნა. თუმცა, ბოლო წლებში, მოქმედი კანონმდებლობის პირობებშიც, ბევრი რამ შეიცვალა სისტემაში სხვადასხვა მიმართულებით. მათ შესახებ ჩვენი გაზეთიც წერდა და მომავალშიც ასე იქნება. ამჯერად, დავინტერესდით, ამ დოკუმენტების ფონზე, როგორია სახელმწიფოს პოლიტიკა პროფესიულ განათლებასთან და იმ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, რაც მომავალი პროფესიული სტუდენტისთვის იქნება საინტერესო.

გვესაუბრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი

– როგორია სახელმწიფო პოლიტიკა პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში, ზოგადად, და კონკრეტულად რაზე გაკეთდება აქცენტი წელს?

– პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკა მკაფიოდ განსაზღვრულია და ეფუძნება როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საჭიროებებს, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია, რომელშიც მოცემულია სფეროსთან დაკავშირებული სახელმწიფო პრიორიტეტები და მათი განხორციელების გზები, 2013 წელს დამტკიცდა. როგორც სტრატეგიის, ასევე სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ საგანმანათლებლო დაწესებულებები, სოციალური პარტნიორები, საერთაშორისო ორგანიზაციები. ამდენად, მასში გათვალისწინებულია პროფესიული განათლების განვითარების ყველა ძირითადი ასპექტი, რომლებიც უკავშირდება შრომის სფეროს ორიენტაციას შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, ხელმისაწვდომობის ზრდას, ხარისხის გაუმჯობესებას, მოქნილობას და მიმზიდველობას, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპის განხორციელებას. მოგვიანებით, 2017 წელს, დამტკიცდა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (2017-2021), რომელშიც ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროფესიულ განათლებას, როგორც ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს. პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში, განსაკუთრებული აქცენტები კეთდება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაზე, სწავლა-სწავლების პროცესების ხარისხის გაუმჯობესებაზე, პროფესიული განათლების მასშტაბების ზრდასა და ხელმისაწვდომობაზე. პროფესიული განათლების პოლიტიკის პრიორიტეტია, ასევე, სისტემის ინტერნაციონალიზაცია, პოპულარიზაცია და მიმზიდველობის ზრდა.

მიმდინარე წელი საკვანძო წელია პროფესიული განათლების სისტემისთვის, რადგან საქართველოს მთავრობისთვის უკვე წარდგენილია ახალი კანონი (პროექტი) პროფესიული განათლების შესახებ. კანონპროექტი მომზადდა დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით, მისი მიღება სამართლებრივ საფუძველს შეუქმნის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას პროფესიულ განათლებასთან მიმართებაში და ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების ახალი სისტემის ფორმირებას. კანონპროექტში შემოთავაზებულია მთელი რიგი მიდგომებისა, რომელთა მეშვეობითაც სისტემა უფრო ეფექტურად უპასუხებს დღეს არსებულ გამოწვევებს, ასევე უზრუნველყოფს ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებასა და თავსებადობას. ამდენად, 2018 წელს სამინისტრო ფოკუსირებული იქნება ახალი კანონის დანერგვის ღონისძიებებზე, პარალელურად, გაგრძელდება დაგეგმილი აქტივობები ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების გაფართოების, კოლეჯების ინფრასტრუქტურის განვითარების, საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების განმავითარებელი კურსების დანერგვისა და სხვა მიმართულებებით.

– თანამედროვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრი და დანერგვის მასშტაბი – როგორია ტენდენცია (მათ შორის მოდულური სწავლების). ვისაუბროთ ხარვეზებზეც – კადრები, სახელმძღვანელოები, საკანონმდებლო ბაზა, სასწავლებლების ტექნიკური აღჭურვილობა და ა.შ.

– სტრატეგიის ფარგლებში, 2014 წლიდან, აქტიურად დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა, რომლის ფარგლებში, ეტაპობრივად ხორციელდება მოქნილი, კომპეტენციებზე დაფუძნებული, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. მოდულური პროგრამების შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართული დამსაქმებლები. ამასთან, მოდულური მიდგომით სწავლებისას გაძლიერებულია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი, გათვალისწინებულია მეწარმეობისა და სხვა საკვანძო კომპეტენციების (უცხო ენა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, კომუნიკაცია და სხვ.) სწავლებაც. დღეისათვის, სისტემაში დანერგილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თითქმის 50% მოდულურია, მათ შორის სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, მშენებლობის, ინჟინერიის და სხვა მიმართულებების. მოდულური პროგრამების მასშტაბი წლიდან წლამდე იზრდება და სამინისტროს მოლოდინი აქვს, რომ 2019-2020 წლებში სისტემა სრულად გადავა მოდულური მიდგომით სწავლებაზე.

პროგრამების გაზრდილ ხარისხთან ერთად, უმნიშვნელოვანესია უშუალოდ განხორციელების ეტაპი და სწავლების მიდგომები/ფორმები. 2016 წლიდან სისტემაში ინერგება ახალი ინიციატივა, რაც სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დუალური ფორმის განხორციელებას გულისხმობს. აღნიშნული ფორმა ითვალისწინებს მონაცვლეობით სწავლას კოლეჯსა და საწარმოში, რა დროსაც პროგრამის ძირითადი სწავლის შედეგების მიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, დამსაქმებელ ორგანიზაციაში ხდება.

მოდულური პროგრამების დანერგვასთან ერთად, მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მათი ხარისხის უზრუნველყოფა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწის, ადამიანური (დაწესებულებების ადმინისტრაცია და პროფესიული განათლების მასწავლებლები) და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გაუმჯობესების მიმართულებით. ხარისხის გაუმჯობესებაზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ასევე „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ პროექტი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ და მისი საგრანტო კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც, 2016 წლის ბოლოს, სამეტაპიანი შერჩევის შედეგად, გამოვლინდა ათი გამარჯვებული პროექტი. აღნიშნული პროექტების ფარგლებში, გამარჯვებულმა დაწესებულებებმა/ორგანიზაციებმა უკვე შეიმუშავეს 40-ზე მეტი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. შემუშავებული პროგრამების ნაწილი პროფესიულ სასწავლებლებში 2017 წლის საშემოდგომო მიღებისათვის დაინერგა, ნაწილის დანერგვა კი 2018-2019 წლებში იგეგმება.

განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, პროფესიული განათლების სფეროში კვლავ არსებობს გამოწვევები, რომელთა დაძლევაც შესაბამის საკანონმდებლო ბაზას საჭიროებს, ამ მიზნით, ბოლო წლების განმავლობაში, სამინისტრომ აქტიურად იმუშავა სფეროს მარეგულირებელი ახალი კანონის მომზადებაზე. სწორედ აღნიშნული კანონის მიღებამ უნდა გაუხსნას გზა რეფორმის ახალ ტალღას, რომლის ფარგლებშიც, შეიქმნება ზრდასრულთა საჭიროებებზე მორგებული მომზადება-გადამზადების სისტემა; პროფესიული განათლების ფარგლებში, გაჩნდება ზოგადი განათლების (საშუალო საფეხური) მიღების შესაძლებლობა, პროფესიული განათლება დაუკავშირდება უმაღლეს განათლებას, უმაღლესი პროფესიული განათლებისა და ე.წ. „მოკლე ციკლის“ პროგრამების ფორმირების გზით; გაჩნდება პროფესიული განათლების საფეხურზე მიღებული კრედიტების უმაღლესი განათლების საფეხურზე აღიარების შესაძლებლობა; დაინერგება ინკლუზიური განათლების სისტემური მიდგომები; განისაზღვრება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმები და სხვ. ახალი კანონის მიღების შემდეგ, შესაძლებელი გახდება აქტიურად გაგრძელდეს მუშაობა პროფესიული განათლების ძირითადი გამოწვევების აღმოფხვრაზე და სრულად იქნეს მიღწეული პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიითა და განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიით განსაზღვრული მიზნები.

– იგეგმება თუ არა რეგიონებში ახალი პროფესიული სასწავლებლების გახსნა?

– პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება პროფესიული განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ბოლო წლებში, საქართველოს არაერთ რეგიონში (მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, სამეგრელო, იმერეთი და სხვ.), გაჩნდა პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ ახალი კოლეჯების დაფუძნება კერძო კომპანიების აქტიური ჩართულობითაც ხორციელდება. საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში, ბოლო წლებში, დაფუძნდა სამთო სათავგადასავლო კოლეჯი გუდაურში, სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი თბილისში, ასევე სამშენებლო პროფილის კოლეჯი ზესტაფონში.

– რატომ არ შევიდა შესწორება კანონში (იგულისხმება ე.წ. საკანონმდებლო ჩიხი), რომელიც უზღუდავს ცხრაკლასდამთავრებულ პროფესიულ სტუდენტს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობას?

– ე.წ. „საკანონმდებლო ჩიხი“ სისტემის უმწვავესი პრობლემაა, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, სამინისტრომ გადაწყვიტა სისტემური მიდგომით გამკლავებოდა ყველა პრობლემას და „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის პროექტი შეიმუშავა. არსებული კანონის ანალიზმა ცხადყო, რომ მხოლოდ ცალკეული შესწორებებითა და ცვლილებებით ვერ მოხდებოდა „ჩიხის“ აღმოფხვრა, რადგან სახეზეა ურთიერთდაკავშირებული ბევრი საკითხი, მათ შორის განათლების სხვა სფეროებთან (ზოგადი, უმაღლესი) მკვეთი საკითხები. ამდენად, ახალი კანონპროექტით, სწორედ სისტემური მიდგომებია შემოთავაზებული, მათ შორის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის (X-XII კლასი) სწავლის შედეგების ჩართვაც. ამ ტიპის პროგრამის გავლა დასრულდება დიპლომის გაცემით, რომელიც სრული ზოგადი განათლების ატესტატთან იქნება გათანაბრებული. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს, პროფესიული განათლების ფარგლებში, ზოგადი განათლების კომპონენტის შეფასების სისტემის განვითარებას.

– მოკლედ ვისაუბროთ უცხოელი პარტნიორების დახმარებისა და ადგილობრივი ბიზნესის მონაწილეობის შესახებ პროფესიული სასწავლებლების განვითარების საქმეში.

– პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ჩართულობა, რომელთა მხარდაჭერითაც არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა.

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა – საქართველომ“, პროფესიული განათლების მხარდასაჭერად, მეორე კომპაქტის ფარგლებში, გამოყო 16 მლნ. აშშ დოლარი. პროექტი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ შემდეგ კომპონენტებს მოიცავს: 1. მსხვილი საგრანტო პროგრამა პროფესიული განათლების პროვაიდერებისათვის; 2. მცირე გრანტების პროგრამა პროფესიული განათლების პროვაიდერებსა და ინდუსტრიას შორის არსებული თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა-ხელშეწყობისათვის; 3. ტექნიკური და ექსპერტული დახმარების გაწევა პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის. მსხვილი საგრანტო კომპონენტის მთლიანი ბიუჯეტი 12 მლნ. აშშ დოლარი იყო და მიზნად ისახავდა, პროფესიული განათლების პროვაიდერებისა და კერძო სექტორის/დამსაქმებლების ურთიერთთანამშრომლობით, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, თანამედროვე პროგრამების განვითარებას. 2016 წლის ბოლოს, სამეტაპიანი შერჩევის შედეგად, გამოვლინდა ათი გამარჯვებული პროექტი, რომლებიც ჯამში შეიმუშავებენ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის 45 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (40-მდე პროგრამა უკვე შემუშავებულია). საგრანტო დახმარება, ასევე, მოიცავს დანერგვის ეტაპსაც, სადაც გათვალისწინებულია სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, სახელოსნოების მოწყობა და აღჭურვა. შემუშავებული პროგრამების ნაწილი, პროფესიულ სასწავლებლებში 2017 წლის საშემოდგომო მიღებისათვის, უკვე დაინერგა. პროგრამების დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულები, პროფესიული განათლების დამადასტურებელ დიპლომთან ერთად, საერთაშორისო სერტიფიკატსაც მიიღებენ.

საქართველოს დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების მხარდასაჭერად, 2013 წელს, ამოქმედდა ევროკავშირის სექტორული მხარდაჭერის პროგრამა **„დასაქმება და პროფესიული განათლება და გადამზადება“**. დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერე-

პროფესიული განათლება

ბა, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემის ხარისხისა და მიმზიდველობის ზრდა უწყვეტი განათლების პერსპექტივით. პროგრამა ორ კომპონენტს მოიცავდა: საბიუჯეტო და ტექნიკური დახმარების კომპონენტებს. პროგრამაში ჩართული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. პროგრამის საბიუჯეტო დახმარების (რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტში 4 წლის განმავლობაში 20 მილიონი ევროს ჩარიცხვას ითვალისწინებდა) აქტიური განხორციელება 2014 წლის დასაწყისში დაიწო და 2017 წლამდე გაგრძელდა. პროგრამის მეორე ნაწილი – „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური მხარდაჭერის პროექტი (EUVEGE)“ 2018 წლის ნოემბრამდე გაგრძელდება. ტექნიკური მხარდაჭერა არა მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებას ემსახურება, არამედ დაკავშირებულია, სისტემურ დონეზე, შესაბამისი სექტორის პოლიტიკის განვითარებასა და მართვასთან. პროცესებში, ასევე, ჩართული არიან სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სააგენტოები და პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები. ამ ეტაპზე, ახალი საბიუჯეტო პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რომელიც უნარების განვითარებასა და შრომის ბაზრის საჭიროების თავსებადობაზე იქნება ფოკუსირებული. ევროკავშირის ახალი პროგრამა აქცენტირებული იქნება სამ კომპონენტზე: უნარების პროგნოზირება და თავსებადობა, უნარების განვითარება და მეწარმეობის განვითარება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით (შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით), ახორციელებს პროექტს **„საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროში პროფესიული განათლების და გადამზადების საკონსულტაციო მომსახურების სისტემების მოდერნიზაცია“**. პროექტის ფარგლებში, მხარდაჭერილია სოფლის მეურნეობის მიმართულებით დუალური და მოდულური პროგრამების დანერგვა. გაეროს განვითარების პროგრამის და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, ასევე, ხორციელდება პროექტი **„საქართველოს ფორმალური/არაფორმალური პროფესიული განათლების სისტემის და შრომის ბაზრის საჭიროებებს შორის კავშირების გაღრმავება უწყვეტი განათლების კონტექსტში“**, რომლის მიზანია საქართველოში მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღების მხარდაჭერა. გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, ჩამოყალიბდა პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების კომპონენტის „ინტეგრირების ხედვა“. შეიქმნა 5 ინტეგრირებული მოდული, რომელთა პილოტირება მეცხოველეობისა და მეხილეობის პროგრამებში მიმდინარეობს.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ თანამშრომლობის ფარგლებში, ხორციელდება პროექტი **„კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“**, რომლის მიზანსაც შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების პოლიტიკის ფორმირებაში ტექნიკური დახმარების გაწევა წარმოადგენს. GIZ-ის მხარდაჭერით, საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის გაუმჯობესების მიზნით, 6 კოლეჯში დაინერგა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის „EFQM“ სრულყოფის მოდელი. ინერგება დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მეღვინეობის, ტურიზმის და მშენებლობის მიმართულებით. ასევე, აღსანიშნავია ორგანიზაციის მხარდაჭერა ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარების მიმართულებითაც.

რაც შეეხება კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიული განათლების განვითარების პროცესში, აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები განხორციელდა. 2015 წელს შემუშავდა საჯარო-კერძო პარტნიორობის კონცეფცია, რომლის ფარგლებში, შეიქმნა 3 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება:

• ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს რკინიგზასა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლობით (2015 წელს);

• ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიისა“ და საქართველოს სამთო გამყოლთა ასოციაციის თანამშრომლობით (2016 წელს);

• (ა)აიპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“ – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სს „M^2 უძრავი ქონებას“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში. რეაბილიტაციის დასრულება დაგეგმილია 2018 წელს, რის შემდეგაც რეგიონის მაცხოვრებლებს საშუალება ექნებათ, სრულიად უფასოდ ისწავლონ სამშენებლო მიმართულების დუალურ პროგრამებზე და/ან გაიარონ მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსები შემდგომი დასაქმების მიზნით. კოლეჯში, ასევე, ხელმისაწვდომი იქნება საერთო საცხოვრებელი.

მოამზადა ანა ფირცხალაიშვილმა

ეროვნული გამოცდები

ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები უმაღლესში მხოლოდ ერთი გამოცდით ჩაირიცხებიან

ლალი თვალაბეიშვილი

„ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ – ასე ჰქვია საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც სამი ძირითადი პუნქტისგან შედგება და მიზნად ისახავს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე, გამყოფი ხაზების გასწვრივ კონტაქტების, მიმოსვლის, საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთობების წახალისებას. ერთ-ერთი პუნქტი გულისხმობს ხარისხიანი განათლების მიღების დამატებითი შესაძლებლობების შექმნასა და წვდომის გამარტივებას განათლების ყველა საფეხურზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ამ მიმართულებით საინტერესო სიახლეა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის – მათ მხოლოდ ერთი გამოცდით (აფხაზურ/ოსურ ენაში) შეეძლებათ სასურველ უნივერსიტეტში მოხვედრა.

ბუნებრივია, ახალგაზრდების ინტერესის საგანს, ოკუპირებულ ტერიტორიებზეც, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტის განათლების მიღება წარმოადგენს. სამწუხაროდ, ამ რეგიონებში ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა მთელ რიგ გამოწვევებსა და დაბრკოლებებთანაა დაკავშირებული, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის შეზღუდვა. ამ მხრივ, გამორჩეულად მძიმე მდგომარეობაა გალის რაიონში, სადაც ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა განსაკუთრებით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფება. მიუხედავად ამისა, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე, ყოველწლიურად, გალის რაიონიდან, 200-300-მდე აბიტურიენტი რეგისტრირდება (გამოცდებს ქართულ ენაზე აბარებენ).

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს არ აქვთ გავლილი საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ავტორიზაცია. შესაბამისად, აღნიშნული დაწესებულებები არ არიან ჩართული ბოლონიის პროცესში და სწავლის პროცესი არ ხორციელდება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. შედეგად, ამ რეგიონებში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები ფლობენ, საერთაშორისო თვალსაზრისით, არალეგიტიმურ საგანმანათლებლო დოკუმენტებს და არ აქვთ საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა. არსებული მდგომარეობა პირდაპირ აისახება მათი განათლების ხარისხზე.

სახელმწიფომ საგანგებო მიდგომა შეიმუშავა, რაც აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები პირების, როგორც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოწყვლადი ჯგუფის მიმართ, სპეციალური პირობებისა და პროგრამების შეთავაზებას გულისხმობს და ხელს უწყობს მათ, შეიძინონ წარმატებისა და თვითრეალიზებისთვის საჭირო ცოდნა, განავითაროონ უნარები. უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს, ასევე, აფხაზური ენის, როგორც საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული მეორე სახელმწიფო ენის, შენარჩუნება და დაცვა, რაც გულისხმობს როგორც აფხაზური ენის ცოდნისა და შესწავლის ხელშეწყობას, ისე აფხაზური ენის, იდენტობის და კულტურის კვლევას და შემდგომ განვითარებას.

აქამდე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარება „1+4“ პროგრამის მეშვეობით შეეძლოთ – აფხაზურ და ოსურ ენებზე ზოგადი უნარ-ჩვევების გამოცდის ჩაბარების შემდგომ ჯერ ქართულ ენაში მოსამზადებელ ერთწლიან კურსს გადიოდნენ, შემდეგ კი უგამოცდოდ აგრძელებდნენ სწავლას 4-წლიან საბაკალავრო პროგრამებზე. საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ ცვლილების თანახმად, რომლის განხილვას საქართველოს პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე გეგმავს, უნარების ტესტის ნაცვლად, აფხაზური/ოსური ენის გამოცდას ჩააბარებენ და პირველი საფეხურის დასრულების შემდეგ სწავლას სასურველი მიმართულებით გააგრძელებენ.

* * *

ამ სიახლესთან დაკავშირებით, რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს, **ივა მინდაძეს**.

– რატომ გახდა საჭირო ზოგადი უნარების გამოცდის აფხაზური/ოსური ენის გამოცდით ჩანაცვლება?

– იდეა გახლავთ შემდეგი: არც აფხაზეთში და არც ცხინვალის რეგიონში, სკოლებში, ძირითადი საგნები – ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და ა.შ. – არ ისწავლება არც აფხაზურ ენაზე და არც ოსურ ენაზე. დაწყებით კლასებში ოსურს და აფხაზურს ასწავლიან, როგორც მშობლიურ ენას, ძირითადად, მე-4 კლასამდე, ხოლო დანარჩენ საგნებს რუსულ ენაზე სწავლობენ. ზოგადი უნარების ტესტი გულისხმობს წაკითხულის გააზრებას, ანუ არის სამეცნიერო პოპულარული ტიპის ტექსტი, რომელთან დაკავშირებით გარკვეული შეკითხვებია დასმული. გარდა ამისა, ზოგადი უნარების ტესტის მათემატიკური ნაწილი აბიტურიენტისგან გარკვეული მათემატიკური ტერმინოლოგიის ფლობას (შეიძლება მარტივს, მაგრამ მაინც) მოითხოვს, ეს ის სიტყვებია, რომლებიც არ უსწავლიათ არც აფხაზეთში მცხოვრებ მოსწავლეებს და არც ცხინვალში. ამიტომ უნარების გამოცდის ჩაბარება სწორედ ამ კუთხით ხდება პრობლემური. ახალი ინიციატივა შესაძლებლობას გვაძლევს, გამოცდაზე მშობლიური ენაზე (აფხაზური და ოსური) ვკითხოთ ის, რაც იციან და მოსამზადებელ პროგრამაზე გადასვლის შესაძლებლობა მივცეთ. იმედი გვაქვს, ამით მათ პრობლემებს მოვუხსნით და საგამოცდო პროცესს გავუიოლებთ.

აბიტურიენტებს აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან რამდენიმე შესაძლებლობა აქვთ: შეუძლიათ ჩვეულებრივ ჩააბარონ გამოცდები სხვა საგნებში, საერთო კონკურსში მიიღონ მონაწილეობა და თუ წარმატებით დაძლევენ გამოცდებს, არსებული წესით ჩაირიცხონ. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, განათლების სამინისტრო აპირებს შესთავაზოს, მათთვის საინტერესო საგნებში, საგნობრივი კომპეტენციების გაუმჯობესება. ორივე რეგიონში სწავლა 11-წლიანია და ბოლო, მე-12 წელს მოსწავლეები კარგავენ. სასარგებლო იქნება ამ დეფიციტის შევსება – დამატებითი წელიწადი გაიარონ მათთვის სასურველ საგნებში, გაიღრმაონ ცოდნა და გავიდნენ გამოცდებზე არა მხოლოდ ენის, არამედ ენას + რამდენიმე საგანი, აკადემიური არჩევანის შესაფერისად.

– საუბარია სკოლის შემდგომი განათლების მომზადების ცენტრებზე?

– დიახ, სახელმწიფო ამას მომავალი წლიდან უზრუნველყოფს.

– აღნიშნული შეთავაზებით აბიტურიენტები წელსვე ისარგებლებენ?

– ეს დამოკიდებულია პარლამენტზე, რადგან დებულებაში საკანონმდებლო ცვლილება უნდა შევიდეს. ვფიქრობ, საგაზაფხულო სესიაზე უნდა გადაწყდეს. ცხადია, თუ ცვლილება საგაზაფხულო სესიაზე არ იქნება მიღებული, მაშინ წელს ვერ ამოქმედდება.

– არიან აფხაზური ენის გამოცდის ჩაბარების მსურველები?

– სამწუხაროდ, არა. აფხაზური ენის გამოცდა არსებობს როგორც ქართული ენის გამოცდის ალტერნატივა, რადგან, როგორც კონსტიტუციაში წერია, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა სახელმწიფო ენა არის ქართული და აფხაზური. აფხაზეთში მცხოვრებ აბიტურიენტებს ყოველთვის ჰქონდათ შესაძლებლობა, მშობლიური ენის ტესტი აფხაზურ ენაზე ჩაებარებინათ და არა ქართულად. მართალია მსურველები ყოველ წელს იყვნენ, მაგრამ თითო-ოროლა. წელს არავის მოუთხოვია აფხაზურ ენაზე გამოცდის ჩაბარება, როგორც ჩანს, მსგავსი საჭიროება არ იქნება. ახალგორიდანაც, ასევე, ერთეული შემთხვევა თუ იყო, როცა დაგვიკავშირდნენ და დაგაზუსტეს, შეეძლოთ თუ არა გამოცდების ოსურ ენაზე ჩაბარება. სამწუხაროდ, ოკუპირებული ტერიტორიებიდან აბიტურიენტების დიდი რაოდენობა არ გვყავს.

* * *

შეძლებენ თუ არა წელს აბიტურიენტები აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ახალი ინიციატივით სარგებლობას და უმაღლეს სასწავლებლებში ზოგადი უნარების გამოცდის ჩაბარების გარეშე სწავლის გაგრძელებას, ახლა ეს საქართველოს პარლამენტზეა დამოკიდებული. იმედია, საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე, პარლამენტარები დაუთმობენ დროს ამ საკითხის განხილვას და საშემოდგომო სესიისთვის არ გადადებენ.

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲣᲜᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ-ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲨᲘᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ

CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

TƏLIM VƏ INKIŞAF NƏZƏRIYYƏLƏRI

166. Mənəvi dilemma nədir?
Mənəvi dilemma elə bir vəziyyətdir ki, fərddən mənəvi qərarı tələb edir və hər hansı bir qərarın həm müsbət, eləcə də xoşagəlməz nəticələri olacaqdır. Seçimi isə fərdin özü etməlidir.

167. Banduranın nəzəriyyəsinin əsas mövzusu nədən ibarətdir?
Banduranın nəzəriyyəsinin əsas mövzusu müşahidə yolu ilə təlimdir.

168. Banduraya əsasən, hansı proseslər müşahidə ilə təlimə təsir göstərirlər?
✓ diqqət prosesləri;
✓ mnemik proseslər;
✓ davranışın formalaşdırılması prosesləri;
✓ motivasiyalı proseslər.

169. Diqqət proseslərinin təsiri nəyi bildirir?
“Modeldən” nəyi isə öyrənmək üçün mütləq ona diqqəti yönəltməli, onu görməlisən. Məsələn, dörd yaşında uşağın onun həmyaşıdını oyun zamanı it dişlədiyini gördüyündə, sonralar özü də itdən uzaq duracaqdır. Amma əgər bu zaman onun diqqəti bıçaqla əlini yaralayan ikinci həmyaşıdına yönəlmişdirsə, o zaman itdən deyil, bıçağı ələ götürməkdən ehtiyat edəcəkdir.

170. Mnemik proseslərin təsiri nəyi bildirir?
Alınan məlumatdan gələcəkdə istifadə bilməyimiz üçün onu mütləq **yadda saxlamaq** lazımdır.

171.Davranışın formalaşdırma proseslərinin hansı əhəmiyyəti vardır?
Təlim üçün fərdin fiziki cəhətdən həyata keçirməyi bacarması önəmlidir. İnsan meymunun ağacdan ağaca tullanmasını diqqətlə izləyə bilət, onun hərəkətlərini dəqiq yadında saxlaya bilər, amma onun bu hərəkətlərini öyrənib təkrar edə bilməsi ağlasığmazdır, çünki insanın fiziki göstəriciləri bu imkanı vermirlər.

172. Motivasiyalı proseslərin hansı əhəmiyyətləri vardır?
Banduranın nəzəriyyəsində möhkəmlənmə iki mühüm funksiyanı yerinə yetirir. **Birincisi**, onun əsasında müşahidəçidə (yəni şagirddə) gözlənti yaranır ki, həvəsləndirici davranışın təkrarlandığı halda, onu mükafatlandıracaqlar və **ikincisi**, motivasiyalı proseslərin əsasında öyrənilənin istifadəsi tələbatı baş qaldıracaqdır.

173. Banduranın konsepsiyası nədən ibarətdir və hansı adla tanınır?
Banduranın konsepsiyası **qarşılıqlı determinizm** adı ilə tanınır.İnsanın, mühitin və ətraf mühitin və insanın davranışının eyni qarşılıqlı təsirini nəzərdə tutur.

174. Banduraya əsasən, insan xoşagəlməz hissdən kənar olmaq üçün hansı mexanizmlərdən istifadə edir?
Bandura qeyd edir ki, insanın davranışı vəziyyətdən asılıdır, müəyyən mexanizmlərin istifadəsi ilə insan asanlıqla özünü bu xoşagəlməz hissdən uzaqlaşdırır. Bandura yeddi belə bir mexanizmi adlandırır:
✓ **mənəvi bəraət** (uşağımın ac olduğuna görə oğurluq etdim);

ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲗ

ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ

166. რა არის მორალური დილემა?
მორალური დილემა არის სიტუაცია, რომელიც ადამიანისაგან მორალურ გადაწყვეტილებას მოითხოვს და ნებისმიერ გადაწყვეტილებას მოჰყვება როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. არჩევანი კი უნდა გააკეთოს ადამიანმა.

167. რა არის ბანდურას თეორიის ძირითადი თემა?
ბანდურას თეორიის ძირითადი თემა არის დაკვირვების გზით დასწავლა.

168. ბანდურას მიხედვით, რომელი პროცესები ახდენს ზეგავლენას დაკვირვებით დასწავლაზე?
✓ ყურადღების პროცესები;
✓ მნემური პროცესები;
✓ ქცევის ფორმირების პროცესები;
✓ მოტივაციური პროცესები.

169. ყურადღების პროცესების ზეგავლენა რას ნიშნავს?
იმისათვის, რომ „მოდელისგან“ რაიმე ისწავლო, მას აუცილებლად უნდა მიაქციო ყურადღება, უნდა დაინახო ის. **მაგალითად,** თუ ოთხი წლის ბავშვი დაინახავს, რომ მის თანატოლს თამაშის დროს ძაღლმა უკბინა, ის შემდგომში თავადაც მოერიდება ძაღლს. მაგრამ თუ ამ დროს მისი ყურადღება მიპყრობილი იყო მეორე თანატოლისაკენ, რომელმაც დანით ხელი გაიჭრა, მაშინ ის მოერიდება არა ძაღლს, არამედ დანის ხელში აღებას.

170. მნემური პროცესების ზეგავლენა რას ნიშნავს?
იმისათვის, რომ მიღებული ინფორმაცია მომავალში გამოვიყენოთ, აუცილებელია მისი **დამახსოვრება**.

171. რა მნიშვნელობა აქვს ქცევის ფორმირების პროცესებს?
დასწავლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს ფიზიკურად შეეძლოს ქცევის განხორციელება. ადამიანი შეიძლება ყურადღებით აკვირდებოდეს ხიდან ხეზე მაიმუნის ხტუნვას, ზუსტად დაიმახსოვროს მისი მოძრაობები, მაგრამ წარმოუდგენელია, შეძლოს ამ ქცევის დასწავლა და განმეორება, ვინაიდან ადამიანის ფიზიკური მონაცემები არ იძლევა ამის შესაძლებლობას.

172. რა მნიშვნელობა აქვს მოტივაციურ პროცესებს?
ბანდურას თეორიაში განმტკიცება ორ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ჯერ **ერთი**, მის საფუძველზე დამკვირვებელს (ანუ მას, ვინც სწავლობს) უჩნდება მოლოდინი, რომ წახალისებული ქცევის გამეორების შემთხვევაში მასაც დააჯილდოებენ და **მეორე** – მოტივაციური პროცესების საფუძველზე აღიძვრება ნასწავლის გამოყენების მოთხოვნილება.

173. რაში მდგომარეობს ბანდურას კონცეფცია და რა სახელითაა იგი ცნობილი?
ბანდურას კონცეფცია **ურთიერთდეტერმინიზმის** სახელითაა ცნობილი. ის გულისხმობს ადამიანის, გარემოსა და ადამიანის ქცევის თანაბარ ურთიერთზემოქმედებას.

174. ბანდურას მიხედვით, რა მექანიზმების გამოყენებით ახერხებს ადამიანი, თავი აარიდოს უსიამოვნო განცდას?
ბანდურა აღნიშნავს, რომ ადამიანის ქცევა სიტუაციური ბუნებისაა, გარკვეული მექანიზმების გამოყენებით ადამიანი ადვილად ახერხებს აარიდოს თავი ამ უსიამოვნო განცდას. ბანდურა ასახელებს რვა ასეთ მექანიზმს:
✓ **მორალური გამართლება** (იმიტომ მოვიპარე, რომ ჩემს შვილს შიოდა);

Կարևոր հարցեր պատասխաններով

ՈՒՍԱՆՄԱՆ ԵՎ ԶԱՐԳԱՑՄԱՆ ՏԵՍՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ

166. Ի՞նչ է բարոյական երկընտրանքը:
Բարոյական երկընտրանքն իրավիճակ է, որը մարդուց պահանջում է բարոյական որոշում և ցանկացած որոշման հաջորդում են ինչպես դրական, այնպես էլ բացասական արդյունքներ: Իսկ ընտրությունը պետք է մարդն անի:

167. Ի՞նչ է Բանդուրայի տեսության հիմնական թեման:
Բանդուրայի տեսության հիմնական թեման դիտարկման ճանապարհով սովորելն է:

168. Ըստ Բանդուրայի, ո՞ր գործընթացներն են ազդում դիտարկմամբ սովորելու վրա:
✓ Ուշադրության գործընթացներ,
✓ հիշողական գործընթացներ,
✓ վարքի ձևավորման գործընթացներ,
✓ մոտիվացիոն գործընթացներ:

169. Ի՞նչ է նշանակում ուշադրության գործընթացների ներգործությունը:
Որպեսզի «մոդելից» որևէ բան սովորես, անպայման դրան ուշադրություն պետք է դարձնես, պետք է տեսնես այն: **Օրինակ**, եթե չորս տարեկան երեխան տեսնի, որ իր ընկերջը խաղալու ժամանակ շունը կծել է, նա հետագայում ինքն էլ կխուսափի շնից: Բայց եթե այս ժամանակ նրա ուշադրությունը կենտրոնացված էր մյուս հասակակցի վրա, որը դանակով կտրեց ձեռքը, այդ դեպքում նա կխուսափի ոչ թե շնից, այլ դանակը ձեռքը վերցնելուց:

170. Ի՞նչ է նշանակում հիշողական գործընթացների ներգործությունը:
Որպեսզի ստացած տեղեկատվությունը ապագայում կիրառենք, անհրաժեշտ է այն **մտապահել**:

171. Ի՞նչ նշանակություն ունեն վարքի ձևավորման գործընթացները:
Սովորելու համար նշանակալի է, որ մարդը կարողանա վարքն իրականացնել ֆիզիկապես: Մարդը կարող է ուշադիր դիտարկել կապիկի ծառից ծառ ցատկելը, ճշգրիտ կերպով մտապահել նրա շարժումները, սակայն անհավատալի է, որ կարողանա այս վարքը սովորել և կրկնել, քանի որ մարդու ֆիզիկական տվյալները չեն տալիս դրա հնարավորություն:

172. Ի՞նչ նշանակություն ունեն մոտիվացիոն գործընթացները:
Բանդուրայի տեսության մեջ ամրապնդումը երկու կարևոր գործառույթ է կատարում: **Նախ**՝ դրա հիման վրա դիտարկողի մոտ (կամ նրա մոտ, ով սովորում է) առաջանում է սպասում, որ խրախուսված վարքի կրկնության դեպքում նրան ևս կպարգևատրեն և **երկրորդ**՝ մոտիվացիոն գործընթացների հիման վրա առաջանում է սովորածը կիրառելու պահանջարկ:

173. Ինչո՞ւմ է կայանում Բանդուրայի հայեցակարգը և ի՞նչ անվանմամբ է այն հայտնի:
Բանդուրայի հայեցակարգը հայտնի է **փոխադարձ դետերմինիզմ** անվանմամբ: Այն ենթադրում է մարդու, միջավայրի և մարդու վարքի հավասար փոխներգործություն:

174. Ըստ Բանդուրայի, ի՞նչ մեխանիզմների կիրառմամբ է մարդը կարողանում խուսափել տհաճ ապրումներից:
Բանդուրան նշում է, որ մարդու վարքը իավիճակային բնույթի է, որոշակի մեխանիզմների կիրառմամբ, մարդ հեշտությամբ կարողանում է խուսափել այս տհաճ ապրումից: Բանդուրան անվանում է յոթ այսպիսի մեխանիզմ.
✓ **բարոյական արդարացում** (գողացա, որովհետև իմ երեխան քաղցած էր),
✓ **պատկերացումների փոփոխում** (եթե իրավիճակն ունի խաղի, կատակի տեսք, այդ դեպքում հասարակությունում ագրեսիայի դրսևորումն անընդունելի վարք չի համարվի),

✓ **təsəvvürlərin dəyişməsi** (vəziyyətin oyun, zarafat şəkli vardırsa, o zaman cəmiyyətdə aqressiyanın aşkarlanması qəbuledilməz davranış kimi hesab edilmir);

✓ **mənfəətli müqayisə** (mən pis hərəkət etdim, amma o, məndən də pis hərəkət etdi, belə ki, mənim hərəkətim bu fonda tamamilə zərərsizdir);

✓ **məsuliyyətin başqasına təhvil verilməsi** (belə onun üçün etdim ki, mənə belə tapşırıldı və s.);

✓ **məsuliyyətin bölünməsi**(qərarı qrup qəbul etdi və mən yox, mən tabe oldum);

✓ **nəticələrə laqeyd yanaşma və ya şəklin dəyişdirilməsi** (mən təkcə ayağımı qoydum, o da yıxıldı, amma heç yerini əzmədi, ayağa durub qaçıb getdi);

✓ **dehumanizasiya** (insanı insani xassələrə malik olmayan, yəni ləyaqətsiz kimi təhlil etdikdə,o zaman ona qarşı cinayətin törədilməsi daha sadəliklə baş verir);

✓ **cinayətin başqasına yazılması** (doğrudur vurdum, amma onun günahı idi, özü səbəbkardır, mən onu vurmağı düşünmürdüm).

175. Davranışın özünütənzimlənməsində tələbatın dərəcəsi hansı rolu oynayır?

Tələbatın yüksək səviyyəsinə malik olan insan daha özünə inamlı və məqsədyönümlüdür. Vacibdir ki, tələbatın səviyyəsi davranışın gerçək nəticəsinə uyğun olsun, əks halda insanın ümidləri boşa çıxır və hər növ fəaliyyəti tərk edə bilər.

176. Davranışın təsdiqlənməsi prosesində özünüqiymətləndirmə ilə alınan təsdiqlənmə hansı rolu oynayır?

Davranış standartları və insanın imkanlarının bir-birinə uyğun gəlməməsi asanlıqla mümkündür. Standartın daha yüksək olduğunda, omda depressiya formalaşa, natamamlıq hissi və ya xroniki cəsarətsizlik yarana bilər. Bandura hesab edir ki, insanın davranışı kənar şəxs tərəfindən deyil, bu insan tərəfindən – özünüqiymətləndirmə ilə qəbul edilən möhkəmlənmənin xarici möhkəmlənmədən daha güclü olduğunda daha yaxşı möhkəmlənir.

177. Linqvistik intellektə malik olan insan necə olur?

Yaxşı inkişaf etmiş sözlərin ehtiyatı var, adları, tarixləri, yeni sözləri asanlıqla yadında saxlayır, yazı və oxunu, ədəbiyyatı bəyənir, sözlərlə oyunu sevir.

178. Məntiqi və riyazi intellektə malik insan necədir?

Asanlıqla meyli görür, mücərrəd təfəkkürü yaxşı inkişaf edir, kateqoriyalar və ideyalar arasında əlaqələri qura bilər, asanlıqla hesablayır, kompüterdən istifadə edir, tapmacaları sevir, məntiqi məsələləri həll edə bilir.

179. Məkan intellektinə malik olan insan necədir?

Əşyaların məkanda düzülüşünü asanlıqla yadda saxlayır, təsviri və onun məkanda yerini dəqiq bərpa edə bilir, şəkil çəkməyi, dizaynı, quruculuğu sevir, xəritə və diaqramları yaxşı araşdırır.

180. Musiqili intellektə malik şəxs necədir?

Melodiyanı asanlıqla yadda saxlayır, ritm duyğusu yaxşı inkişaf etmişdir, tez-tez oxuyur, səslərə qarşı həssasdır.

181. Kinestetik intellektə malik şəxs necədir?

Bədənin duyğuları, simulyasiya, rollarla oyunla asanlıqla öyrənir, bir yerdə uzun müddət hərəkətsiz otura bilmir, idman oyunlarını, rəqsi, tamaşaları bacarır, yaxşı koordinasiyası var, insanlarla asanlıqla ünsiyyət qurur, jestlərlə, mimikalarla başa düşür və öz münasibətini ifadə edir.

Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova

✓ **წარმოდგენების შეცვლა** (თუ სიტუაციას თამაშის, ხუმრობის სახე აქვს, მაშინ საზოგადოებაში აგრესიის გამოვლენა მიუღებელ ქცევად არ ჩაითვლება);

✓ **მომგებიანი შედარება** (მე ცუდად მოვიქეცი, მაგრამ მან უარესი ჩაიდინა, ასე რომ, ჩემი ქცევა ამის ფონზე სრულიად უწყინარია);

✓ **პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბარება** (იმიტომ გავაკეთე, რომ ასე მიბრძანეს, დამავალეს და ა.შ.);

✓ **პასუხისმგებლობის განაწილება** (გადაწყვეტილება ჯგუფმა მიიღო და არა მე, მე დავემორჩილე);

✓ **შედეგების იგნორირება ან დამახინჯება** (მე მხოლოდ ფეხი დავუდე, ის დაეცა, მაგრამ არაფერი არ უტკენია, წამოხტა და გაიქცა);

✓ **დეჰუმანიზაცია** (თუ ადამიანს განიხილავ ადამიანური თვისებების არმქონედ, ანუ უღირსად, მაშინ მის მიმართ ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა უფრო მარტივი ხდება);

✓ **დანაშაულის სხვაზე მიწერა** (მართალია დავარტყი, მაგრამ მისი ბრალი იყო, თვითონ გამომიწვია, მე სულაც არ ვაპირებდი მის ცემას).

175. ქცევის თვითრეგულაციაში რა როლს თამაშობს მოთხოვნილების დონე?

ადამიანი, რომელსაც მომთხოვნელობის მაღალი დონე აქვს, უფრო თავდაჯერებული და მიზანსწრაფულია. აუცილებელია, მომთხოვნელობის დონე შეესაბამებოდეს ქცევის რეალურ შედეგს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადამიანი განიცდის იმედგაცრუებას და შეიძლება მიატოვოს ყველანაირი საქმიანობა.

176. ქცევის განმტკიცების პროცესში რა როლს თამაშობს თვითშეფასებით მიღებული განმტკიცება?

ადვილი შესაძლებელია, ქცევის სტანდარტები და ადამიანის შესაძლებლობები ერთმანეთს არ ემთხვეოდეს. თუ სტანდარტი უფრო მაღალია, ადამიანს, შესაძლოა, ჩამოუყალიბდეს დეპრესია, არასრულფასოვნების განცდა ან ქრონიკული გაუბედაობა. ბანდურა თვლის, რომ ადამიანის ქცევა უფრო კარგად განმტკიცდება, თუ ის დადებითად ფასდება არა გარეშე პირის, არამედ თავად ამ ადამიანის მიერ – თვითშეფასებით მიღებული განმტკიცება გარეგან განმამტკიცებელზე უფრო ძლიერია.

177. როგორია ლინგვისტური ინტელექტის მქონე ადამიანი?

აქვს კარგად განვითარებული სიტყვათა მარაგი, ადვილად იმახსოვრებს სახელებს, თარიღებს, ახალ სიტყვებს, მოსწონს წერა და კითხვა, ლიტერატურა, უყვარს სიტყვებით თამაში.

178. როგორია ლოგიკური და მათემატიკური ინტელექტის მქონე ადამიანი?

ადვილად ხედავს ტენდენციას, კარგად აქვს განვითარებული აბსტრაქტული აზროვნება, შეუძლია კატეგორიებსა და იდეებს შორის მიმართების დამყარება, ადვილად ანგარიშობს, ხმარობს კომპიუტერს, უყვარს თავსატეხების, ლოგიკური ამოცანების ამოხსნა.

179. როგორია სივრცითი ინტელექტის მქონე ადამიანი?

ადვილად იმახსოვრებს საგნების სივრცეში განლაგებას, შეუძლია ზუსტად აღიდგინოს გამოსახულება და მისი სივრცითი მდებარეობა, უყვარს ხატვა, დიზაინი, შენება, კარგად ერკვევა რუკებსა და დიაგრამებში.

180. როგორია მუსიკალური ინტელექტის მქონე ადამიანი?

ადვილად იმახსოვრებს მელოდიას, აქვს კარგად განვითარებული რიტმის შეგრძნება, ხშირად მღერის, მგრძნობიარეა ბგერებისა და ხმების მიმართ.

181. როგორია კინესთეტიკური ინტელექტის მქონე ადამიანი?

ადვილად სწავლობს სხეულის შეგრძნებებით, სიმულაციით, როლური თამაშებით, უჭირს დიდხანს ერთ ადგილზე გაუნძრევლად ჯდომა, ეხერხება სპორტული თამაშები, ცეკვა, წარმოდგენები, აქვს კარგი კოორდინაცია, ადვილად ურთიერთობს ადამიანებთან, ესმის და გამოხატავს დამოკიდებულებას ჟესტებით, მიმიკით.

მომზადდა ასოციაცია „ზეკართან“ თანამშრომლობით და ითარგმნა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

✓ **շահավետ համեմատություն** (ես վատ վարվեցի, սակայն նա վատթարն արեց, այնպես որ, իմ վարքը դրա պատկերի վրա բոլորովին անփսաս է,

✓ **պատասխանատվությունն ուրիշին փոխանցել** (արեցի, որովհետև ինձ այսպես հրամայեցին, հանձնարարեցին և այլն),

✓ **պատասխանատվության բաժանում** (որոշումը խումբն է ընդունել և ոչ թե ես, ես ենթարկվել եմ),

✓ **արդյունքներն անտեսել կամ խեղաթյուրել** (ես միայն ոտքս դրեցի, նա վայր ընկավ, բայց ոչինչը չի ցավեցրել, վեր թռավ և վազեց),

✓ **ապամարդասիրություն** (եթե մարդուն քննարկում ես որպես մարդկային հատկություններ չունեցող, այսինքն՝ անարժան, այդ դեպքում նրա նկատմամբ ցանկացած հանցանք գործելը ավելի հեշտ է դառնում),

✓ **հանցանքն ուրիշին վերագրել** (ճիշտ է, հարվածել եմ, բայց նա էր մեղավոր, ինքը հրահրեց, ես բոլորովին էլ մտադիր չէի նրան ծեծել):

175. Վարքի ինքնակարգավորման մեջ ի՞նչ դեր է կատարում պահանջմունքի մակարդակը:

Մարդը, որը պահանջկոտության բարձր մակարդակ ունի, ավելի ինքնավստահ և նպատակաուղղված է: Անհրաժեշտ է, որ պահանջկոտության մակարդակը համապատասխանի վարքի իրական արդյունքին, հակառակ դեպքում, մարդը հուսախաբություն է ապրում և կարող է թողնել ամեն տեսակ գործունեություն:

176. Վարքի ամրապնդման գործընթացում ի՞նչ դեր է կատարում ինքնագնահատմամբ ստացած ամրապնդումը:

Շատ հնարավոր է, որ վարքի չափորոշիչները և մարդու հնարավորությունները չհամընկնեն իրար: Եթե չափորոշիչն ավելի բարձր է, մարդու մոտ կարող է ձևավորվել ընկճախտ, ոչ լիարժեքության զգացում կամ խրոնիկական անհամարձակություն: Բանդուրան համարում է, որ մարդու վարքն ավելի լավ է ամրապնդվում, եթե այն դրական է գնահատվում ոչ թե կողմակի անձի, այլ հենց այս մարդու կողմից՝ ինքնագնահատմամբ ստացած ամրապնդումը արտաքին ամրապնդողներից ավելի հզոր է:

177. Ինչպիսի՞ն է լեզվաբանական բանականություն ունեցող մարդը:

Ունի լավ զարգացած բառապաշար, հեշտ է մտապահում անունները, նոր բառերը, հավանում է գրելն ու կարդալը, գրականությունը, սիրում է բառախաղ:

178. Ինչպիսի՞ն է տրամաբանական և մաթեմատիկական բանականություն ունեցող մարդը:

Հեշտ է տեսնում միտումը, ունի լավ զարգացած վերացական մտածողություն, կարող է կապեր հաստատել կարգերի և գաղափարների միջև, հեշտ է հաշվում, օգտվում համակարգչից, սիրում է գլուխկոտրուկներ, տրամաբանական խնդիրներ լուծել:

179. Ինչպիսի՞ն է տարածական բանականություն ունեցող մարդը:

Հեշտությամբ է մտապահում առարկաների տեղադրությունը տարածության մեջ, կարող է ճշգրիտ կերպով վերականգնել պատկերը և դրա տարածական դասավորությունը, սիրում է նկարել, զբաղվել դիզայնով, կառուցել, լավ է հասկանում քարտեզներն ու դիագրամները:

180. Ինչպիսի՞ն է երաժշտական բանականություն ունեցող մարդը:

Հեշտությամբ է մտապահում մեղեդիները, ունի լավ զարգացած ռիթմի զգացողություն, հաճախ երգում է, զգայուն է հնչյունների և ձայների նկատմամբ:

181. Ինչպիսի՞ն է կինեսթետիկ բանականություն ունեցող մարդը:

Հեշտ է սովորում զգայություններով, մոդելավորմամբ, դերային խաղերով, դժվարանում է մի տեղում անշարժ նստել, նրան լավ են տրվում մարզական խաղերը, պարը, ներկայացումները, ունի լավ կողմնորոշում, հեշտ է շփվում մարդկանց հետ, հասկանում է և արտահայտում վերաբերմունքները ժեստերով, դիմախաղով:

Թարգմանությունը՝ Զոյա Մխիթարյանի

სამოდელო გაკვეთილი

ჯგუფური მუშაობის გამოყენება საფრანგეთის (XVIII–XIXსს) ისტორიის სწავლების პროცესში

ბავშვებს ხშირად უნდა შევთავაზოთ სხვადასხვა ტიპის აქტივობა სწავლისა და მუშაობის პროცესის ორგანიზება-დაგეგმვაზე, რადგან ეს ზუსტად შეესაბამება საგანმანათლებლო სისტემის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მოთხოვნებს. მერვეკლასელებს, ამ მხრივ, უკვე გამომუშავებული აქვთ ცალკეული უნარ-ჩვევები, მაგრამ სასურველია ამ გამოცდილების გაღრმავება.

მიმაჩნია, რომ VIII კლასში, საფრანგეთის ისტორიის შესწავლისას, მოსწავლეებს საკითხის კარგად გააზრებასა და ათვისებაში ერთდროულად რამდენიმე პრობლემა უშლის ხელს. საფრანგეთის XVIII-XIX საუკუნეების ისტორია მოვლენათა სიმრავლითა და შესასწავლი მასალის სირთულით გამოირჩევა, მერვეკლასელთა უმრავლესობა კარგად ვერ ახერხებს ტექსტის დამოუკიდებლად გაგებას, აღქმას, უცხოენოვანი ტერმინების გაცნობიერებას და სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვის ფრაზების სწორად გამოყენებას თხრობისა და წერის პროცესში.

ამ დროს დიდია მასწავლებლის როლი, ამავე დროს, ღირებული შედეგის მომტანი შეიძლება იყოს ურთიერთსწავლების მეთოდი, კერძოდ, ჯგუფური მუშაობის გამოყენება. ეს მეთოდი ხელს უწყობს ბევრი სასარგებლო, სოციალურად მნიშვნელოვანი უნარის გამომუშავებას ახალგაზრდებში. მოსწავლე, ამ დროს, სწავლობს: მიზნის მკაფიოდ ფორმულირებას, აზრის ჩამოყალიბებას და არგუმენტებით განმტკიცებას, სხვისი აზრის შეფასებას, მიღებას, გაზიარებას, კონფლიქტის მართვას, პრეზენტაციას და სხვ.

ესგ-ში, საბაზო საფეხურის სტანდარტში, აღნიშნულია: მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებით გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე. საზოგადოებრივი მეცნიერებები ხელს უწყობს ცოდნის შეძენას, რაც აუცილებელია მოზარდის თავისუფალ პიროვნებად და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებისათვის (ესგ; გვ.993-994). სწორედ საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლით უვითარდება მოზარდს ცოდნა პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება-განხორციელების შესახებ. დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში, საზოგადოების ფუნქციონირებისათვის, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთშემეცნება (ესგ; გვ.994). საბაზო საფეხურზე ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სწავლებამ მოსწავლეს უნდა დაანახოს ადამიანის გამოცდილების მრავალფეროვნება (ესგ; გვ.1000).

ამ საფეხურზე უნდა ვასწავლოთ, მის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, არგუმენტირებული თემის დაწერა, რაც გულისხმობს: შესავალში თემის მთავარი პრობლემის მოკლე მიმოხილვასა და ამ პრობლემისადმი საკუთარი პოზიციის გამოხატვას; ძირითად ნაწილში, საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად, არგუმენტებისა და მაგალითების მოყვანას; დასკვნაში კი – თემის ძირითად ნაწილში გამოთქმული არგუმენტებისა და მოსაზრებების შეჯამებას (ესგ; გვ.1001).

დავგეგმე პროცესი, რომლის მიზანი ასე განვსაზღვრე:

მოსწავლეები

- გააანალიზებენ XVIII-XIX საუკუნეების საფრანგეთის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს და დაწერენ ისტორიულ თემას;
- შეისწავლიან, როგორ დაწერონ თვითშეფასება//რეფლექსია;
- გამოიმუშავებენ ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს.

შესაბამისობა ესგ-სთან:

ისტ.VIII.8. მოსწავლეს შეუძლია ახსნას სახელმწიფოში მმართველობის ფორმისა და პოლიტიკური რეჟიმის ურთიერთკავშირი.

ისტ.VIII.11. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს ადამიანის უფლებების საფუძვლები და მათი განვითარების ისტორიული პირობები.

ისტ.VIII.13. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებით გამოწვეულ სოციალურ ცვლილებებზე.

სამწუხაროდ, მერვე კლასის სტანდარტით მისაღწევ შედეგებში არ არის განსაზღვრული სწავლის სწავლების საკითხები, თუმცა, მიმაჩნია, რომ ეს თავისთავად იგულისხმება, როცა სასწავლო უნარების განვითარებაზე ვსაუბრობთ. სწორედ ამიტომ გამოვიტანე მიზანში სასწავლო სტრატეგიის ანალიზი და თვითდაკვირვება. მსურდა, სწორედ სწავლის სწავლების თემაზე ჩამეტარებინა ინოვაციური გაკვეთილი.

VIII კლასში მოსწავლეებს უკვე აქვთ ჯგუფური მუშაობის გამოცდილება, თუმცა, კონკრეტულად იმ კლასში, სადაც მე ვასწავლი, ეს ცოდნა მხოლოდ ზედაპირული აღმოჩნდა. ადრე, ამ მეთოდის გამოყენების შემდეგ, მათ არ უფიქრიათ ჯგუფურად შესრულებული დავალების მრავალმხრივ შედეგებზე.

სამოდელო გაკვეთილის ჩატარებამდე პროცესი რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში წარიმართა. მოსწავლეები ჯგუფებად გავანაწილე, მექანიკური შერჩევის წესით. განვსაზღვრე თემები და მივეცი მითითება, როგორ დაეწერათ. თუმცა, თავიდანვე ვფიქრობდი, რომ თემების წარდგენის შემდეგ უფრო მეტი სამუშაო მექნებოდა, როგორც მასწავლებელს. ბავშვებს ვუთხარი, რომ ჩემთვის ამ დავალების შესრულების მიზანი იყო საფრანგეთის ისტორიის უკეთ გაგება-გაანალიზება, ასევე, თემის დაწერის სწავლა. შემდეგ, აღვნიშნე, რომ განმსაზღვრელი შეფასების დაწერას არ ვაპირებდი.

შევნიშნე, რომ მოსწავლეთა ერთ ნაწილს საკმაოდ გაუჭირდა კლასელებთან თანამშრომლობა – არ უსმენდნენ ერთმანეთს, არ თმობდნენ პოზიციებს, ძალიან ხმამაღლა საუბრობდნენ, იყენებდნენ არაკორექტულ სიტყვებსა და ფრაზებს. ამის გამოსასწორებლად, შევთავაზე შეგვექმნა ჯგუფური მუშაობის წესები. ესეც დავგეგმე, რადგან წინასწარ ამ აქტივობის აუცილებლობას ვერ გაიაზრებდნენ. აქაც გამოვიყენე ჯგუფური მუშაობის ფორმა. საბოლოოდ შეჯერებული ვარიანტი მივიღეთ. მაინც მიმაჩნია, რომ მოსწავლეები ამ საქმეს (წესების შემუშავებას) არც ისე სერიოზულად მიუდგნენ. კლასის (სოციუმის) მიერ შემუშავებული წესებისა და ნორმების დაცვა-გათავისება რომ საჭიროა, 12-13 წლის ბავშვებს ეს ჯერ კიდევ კარგად არ ესმით.

მოსწავლეებს საფრანგეთის რევოლუციის შესახებ შემდეგი თემები უნდა დაეწერათ:

1. საფრანგეთის კონსტიტუციის განვითარების ეტაპები;
2. მოსახლეობის დაბალი ფენების როლი საფრანგეთის რევოლუციაში;
3. ახალი ტიპის პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში;
4. საფრანგეთის მოსახლეობა დიდ რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ;
5. საფრანგეთის რევოლუციის გამოცდილება და მსოფლიოს ისტორიის განვითარება.

რადგან გაკვეთილი (45 წუთი) არ აღმოჩნდა საკმარისი დავალების შესასრულებლად, მოსწავლეთა გადაწყვეტილებით, გავაკეთეთ ფეისბუქ-სასაუბრო (ე.წ. „ჩატი“) და, ვთხოვე, ერთმანეთთან დაკავშირება და თემების დასრულება. მეც მათთან ვიყავი ამ სასაუბროში, ვაკვირდებოდი პროცესს და, საჭიროების შემთხვევაში, ვერეოდი (მაგალითად, ვაძლევდი განმარტებებს, მითითებებს).

შემდეგი შესასწავლი თემა იყო ნაპოლეონის ომები. შევქმენით ახალი ჯგუფები. ამჯერად, განსხვავებული მეთოდი ვცადე – ტექსტი დასამუშავებლად ახსნის გარეშე შევთავაზე. შემდგომი მსვლელობა იგივე იყო. შევნიშნე, რომ უკვე არც ისე გაუჭირდათ, როგორც პირველ შემთხვევაში. ეს იმით აიხსნება, რომ ტექსტი შედარებით ადვილად გასაგები იყო. მოსწავლეებმაც უფრო ადვილად მოახერხეს მობილიზება და დროის ეფექტურად გამოყენება.

თემების დასრულება უკვე გაკვეთილზევე შეძლეს:

1. ნაპოლეონის ეპოქის ევროპა;
2. ნაპოლეონის ტრიუმფი და მარცხი (მიზეზები და შედეგები);
3. ნაპოლეონი, როგორც სარდალი;
4. ნაპოლეონის როლი მე-19 საუკუნის დასაწყისის ევროპის ისტორიაში.

შემდეგი შეხვედრიდან დავიწყეთ თემების პრეზენტაციები. პროცესი რომ ზედაპირული არ გამხდარიყო, ბავშვებს პრეზენტაციის ფორმატი შევთავაზე. ვინიშნავდი ყველაფერს – შეკითხვებს, რეპლიკებს, შენიშვნებს. მოსწავლეებს უჩვეულო სერიოზულობა შევნიშნე, ძალიან საინტერესო კომენტარებს აკეთებდნენ, საინტერესო შეკითხვებს სვამდნენ. ვთხოვე, დაეწერათ ამ პროცესის რეფლექსია, ანუ გამოხმაურება//ანალიზი. ეს სიტყვაც და მისი დაწერის წესიც უცნობი იყო ამ ბავშვებისთვის, ამიტომ რეფლექსიის დაწერის მარტივი გეგმა შევუდგინე. ისინი, ხომ ჯერ მხოლოდ მერვე კლასში არიან, წინ კიდევ დიდი გზაა.

რეფლექსიის დაწერის გეგმა-შაბლონი:

1. ჯგუფის შემადგენლობა;
2. მოკლედ აღწერეთ დავალება და შესასრულებელი სამუშაო;
3. როგორ გადაინაწილეთ ფუნქციები?
4. თემის წარდგენისას რა შეკითხვები და შენიშვნები მიიღეთ კლასელებისგან და როგორ გაითვალისწინეთ?
5. რა შეფასება გააკეთა მასწავლებელმა?
6. რა გამოცდილება მიიღეთ?
7. რამდენი ქულით შეაფასებთ თქვენს ნამუშევარს (10-ქულიანი) და ახსენით, რატომ.

თუ სურვილი გაუჩნდებოდათ, რეფლექსიები ელექტრონულად უნდა გადმოეგზავნათ. აქ ერთმანეთის ნამუშევრებსაც გაეცნობოდნენ. ეს შეგნებულად გავაკეთე, რადგან, ურთიერთდახმარების იმედი აქაც ექნებოდათ. უმრავლესობამ დავალება შეასრულა. შევეცადე, ზოგადი მიმართულებები მიმეცა რეფლექსიის წერის უნარის გამოსამუშავებლად.

შევაჯერეთ გამოცდილება, გავაანალიზეთ საგაკვეთილო პროცესი, წავიკითხეთ დასრულებული თემები და ამის შემდეგ, როცა ჩავთვალე, რომ თემის წერის გამოცდილება უკვე საკმაოდ აქვთ, შემაჯამებელი სამუშაო ჩავატარე, თემებზე:

1. ნაპოლეონი, როგორც სარდალი;
2. ნაპოლეონი, როგორც სახელმწიფოს ლიდერი;
3. ნაპოლეონი – ევროპული პოლიტიკის შემოქმედი;
4. ნაპოლეონ ბონაპარტე და საფრანგეთის ისტორია.

ამ შემთხვევაშიც, მოსწავლეებმა იცოდნენ თემის შეფასების რუბრიკები//კრიტერიუმები:

1. შეუძლია საკითხის არსში წვდომა;
2. გამოხატავს საკუთარ თვალსაზრისს და ასაბუთებს;
3. იაზრებს, ალაგებს თანამიმდევრულად, ნაწერი შეკრულია;
4. აქცენტს აკეთებს ძირითად საკითხებზე;
5. იყენებს ტექსტობრივ მასალას, რათა გააძლიეროს მთავარი სათქმელი;
6. არჩევს შესატყვის ლექსიკასა და სტილს. მართებულად გამოყოფს აბზაცებს. წერს გამართულად, გრამატიკული თვალსაზრისით.

ასეთი შედეგები მივიღე: მაღალი შეფასება – 9-10 – მოსწავლეთა 44%-მა მიიღო, 7-8 ქულა ასევე – 44%-მა, ხოლო 12%-მა, 3-მა მოსწავლემ, 5- 6 მიიღო. არ დამიწერია არც ერთი არადამაკმაყოფილებელი შეფასება.

მთელ პროცესზე რამდენიმე მოსწავლე ახორციელებდა მონიტორინგს. საინტერესო იყო მათი როლი, ინტერესით ველოდებოდი მათი დაკვირვების შედეგებს.

2018 წლის 7 მარტს ჩავატარე სამოდელო გაკვეთილი „ჯგუფური მუშაობის გამოყენება საფრანგეთის (XVIII-XIXსს) ისტორიის სწავლების პროცესში“. გაკვეთილი ინოვაციური ტიპის იყო. ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის VIII^4 კლასში 25 მოსწავლე სწავლობს, მაგრამ გაკვეთილს 21 ესწრებოდა. კლასში არ არის განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლე.

გაკვეთილის ხანგრძლივობა – 50 წუთი.

ინოვაციური ტიპის გაკვეთილი გარკვეული სპეციფიკით გამოირჩევა. შესაბამის დოკუმენტში აღნიშნულია: „მუდმივად იცვლება, ვითარდება და მრავალფეროვნდება სწავლების მეთოდიკაც. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მასწავლებელმა თვალყური ადევნოს როგორც აკადემიურ, ისე მეთოდურ სიახლეებს საგანში და ასახოს ისინი თავის პრაქტიკაში. როგორ ჩამოვაყალიბოთ იდეა? მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს ეროვნული სასწავლო გეგმების მოთხოვნებს და, ამავდროულად, მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა სამეცნიერო აღმოჩენებია მის სფეროში, რა ცვლილებები მიმდინარეობს ეროვნულ თუ გლობალურ დონეზე. სწორედ თანამედროვე სწრაფად ცვალებად სამყაროში, მასწავლებელი ახალი ცოდნის კვალდაკვალ უნდა ვითარდებოდეს, მისდევდეს სიახლეებს და მოსწავლეებსაც საჭირო დროს უზიარებდეს.“

ეს გაკვეთილი ინოვაციურია, რადგან მთლიანად ეხება სწავლის სწავლების პროცესს. მისაღწევი ძირითადი შედეგი – საფრანგეთის ისტორიის კარგად შესწავლა, ამ მეთოდების გამოყენებით, შედარებით ადვილად დაძლევადი აღმოჩნდა.

გაკვეთილის მსვლელობა:

საორგანიზაციო საკითხები; გაკვეთილის მიზნის, თემის და შეფასების ფორმების განსაზღვრა (1-2წთ).

აქტივობა 1

მიზანი: შეძლებენ ორ სოციალურ კატეგორიას შორის კავშირის დანახვას; მათი ძირითადი მახასიათებლების შეფასებას და საკვანძო სიტყვების გამოყოფას.

ორგანიზება: ინდივიდუალური, მთელი კლასი.

დრო: 2 წთ.

მსვლელობა: მოსწავლეებს შევთავაზებ, გაავლონ პარალელი ჯგუფურ მუშაობასა და რევოლუციურ მოძრაობას შორის, ანუ მოიფიქრონ და ჩამოწერონ საკვანძო სიტყვები, ცნებები, რომლებიც შეიძლება შეესაბამებოდეს ზემოთ დასახელებულ ორივე კატეგორიას (მაგალითად: აზრი,

საშოდელო გაკვეთილი

იდეა, ჭიდილი და ა.შ.). ამ სიტყვებს ჩამოვწერ ფორმატზე და ვტოვებ გაკვეთილის ბოლომდე.

აქტივობა 2

მიზანი: დაასახელებენ მიზეზებს, რამაც განსაზღვრა ჯგუფური მუშაობის გამოყენების აუცილებლობა.

ორგანიზება: ინდივიდუალური, მთელი კლასი.

დრო: 2წთ.

მსვლელობა: შეკითხვა კლასს: თქვენი აზრით, ამ საკითხების შესწავლისას, რატომ გამოვიყენე ჯგუფური მუშაობა? ძირითადი პასუხი, სავარაუდოდ, იქნება შესასწავლი მასალის სირთულე. შეჯერებულ პასუხს დავწერ ახალ ფორმატზე, რომელზეც დახატული იქნება ხის კონტური, რომელსაც მოგვიანებით მოვუბრუნდები.

აქტივობა 3

მიზანი: გაიაზრებენ თემებზე ჯგუფურად მუშაობის ყველა ეტაპის მნიშვნელობას და შეაფასებენ მიღებულ გამოცდილებას.

ორგანიზება: ჯგუფური.

დრო: 10-15წთ.

მსვლელობა: მოსწავლეებს მივმართავ, გაიხსენონ, როგორ წარიმართა პროცესი, როცა დავიწყეთ შესწავლა, როგორ გვემუშავა ჯგუფში? ვურიგებ ცხრილს, სადაც ცალ მხარეს ჩამოწერილი იქნება ჯგუფური მუშაობის ეტაპები (იხ. დანართი). ვაძლევ დავალებას, რომ მეორე მხარეს, სადაც თავისუფალი არეა, გაიხსენონ და ჩამოწერონ, რა სირთულეებს წავაწყდით თითოეულ ეტაპზე და რა გამოცდილება მივიღეთ. თითოეული ჯგუფი ორ-სამ მახასიათებელზე იმუშავებს, დასრულების შემდეგ, წაიკითხავენ თავიანთ შეხედულებებს. დანარჩენი მოსწავლეები, რეპლიკების სახით, იღებენ მონაწილეობას. მასწავლებლის შეჯამება//შეფასება.

დანართი: ჯგუფური მუშაობის ეტაპები

	ეტაპი	სირთულე	გამოცდილება
1	ჯგუფური მუშაობის წესების შემუშავება		
2	ჯგუფების შექმნა მექანიკური შერჩევით		
3	მასწავლებლის ინსტრუქცია პროცედურასთან დაკავშირებით		
4	თემების განაწილება		
5	ჯგუფური მუშაობა სახელმძღვანელოს ტექსტზე გაკვეთილზე		
6	სასაუბროს („ჩატის“) შექმნა იმ მიზნით, რომ მეორე გაკვეთილამდე სოცქსელის საშუალებით დასრულებულიყო მუშაობა თემაზე		
7	მასწავლებლის ონლაინ კონსულტაციები		
8	ჯგუფების პრეზენტაციები (მასწავლებლის მიერ ფორმატის წინასწარ გაცნობა)		
9	მიღებული შეკითხვების და შენიშვნების შემდეგ თემის დასრულება მეორე გაკვეთილამდე		
10	რეფლექსიის დაწერა (მასწავლებლის მიერ მიწოდებული შეკითხვების საშუალებით)		
11	შემაჯამებელი სამუშაო – ისტორიული ანალიტიკური სახის თემის დაწერა		

აქტივობა 4

მიზანი:

- მოსწავლეები გააანალიზებენ XVIII-XIX საუკუნეების საფრანგეთის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს და წარმოადგენენ დაწერილ ისტორიულ თემას;
- შეისწავლიან, როგორ დაწერონ თვითშეფასება//რეფლექსია.

ორგანიზება: ჯგუფური და ინდივიდუალური.

დრო: 20წთ.

მსვლელობა: მივმართავ მოსწავლეებს, წარმოადგინონ ისტორიული თემები, რომლებიც ამგვარი მუშაობის შედეგად შეიქმნა. წარმოვადგენთ თემატიკას (იხ. ზემოთ). ორი-სამი მოსწავლე, სურვილის მიხედვით, წაიკითხავს ჯგუფის ნაშრომს პირველი დავალებიდან, რომელიც ეხებოდა საფრანგეთის რევოლუციას. შემდეგ ამ ჯგუფის ერთი-ორი წევრი, სურვილის მიხედვით, გაგვაცნობს ინდივიდუალურ რეფლექსიას (რეფლექსიის დაწერის გეგმა-შაბლონი იხ. ზემოთ).

იმავე აქტივობას გავიმეორებ მეორე თემაზეც (იხ. თემის შეფასების რუბრიკები). შემდეგ თავიანთი დაკვირვების შედეგებს ის მოსწავლეები წარმოადგენენ, რომლებიც ამ პროცესს აკვირდებოდნენ, აწარმოებდნენ მონიტორინგინს.

ვსვამ დამაზუსტებელ შეკითხვებს და ვაჯამებ.

ჯგუფებს ვურიგებ ხის სქემას, სადაც უნდა დაწერონ, ორივე განსახილველი შემთხვევის დროს, მუშაობის ერთი დადებითი და ერთი უარყოფითი შედეგი, შემდეგ გადამაქვს დიდ სქემაზე.

მოსწავლეებს ვაცნობს ჩემს რეფლექსიას, რომელშიც აღწერილი და გაანალიზებულია მთელი პროცესი, ვაძლევ რეპლიკის გაკეთების საშუალებას.

აქტივობა 5

მიზანი: გაკვეთილზე მიღებული გამოცდილების შეჯამება.

ორგანიზება: მთელი კლასი.

დრო: 4-5წთ.

მივმართავ მოსწავლეებს, გაიხსენონ პირველი აქტივობის დროს ჩამოწერილი სიტყვები და ხომ არ დაამატებდნენ რამეს. ვთხოვ, შეადარონ განათლების პროცესი რევოლუციას და შეასრულონ საშინაო დავალება:

მოსწავლეებს ვურიგებ ფურცლებს, რომელზეც ხატია სამკუთხედი წვერებზე წარწერით – მოსწავლე-ჯგუფი-მასწავლებელი.

დავალება: „ჩამოთვალეთ თითოეული მათგანის როლი და ვალდებულებები ამ რევოლუციურ პროცესში (გამოიყენეთ დაფაზე ჩამოწერილი ტერმინები და ფრაზები)“.

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები ავსებენ თვითშეფასების სქემას (იხ. დანართი) 2წთ.

დანართი:

თვითშეფასების კითხვარი ჯგუფის წევრებისთვის

1. აქტიურად ვიყავი ჩართული ჯგუფის მუშაობაში

მთელი გაკვეთილის განმავლობაში .....

ნაწილობრივ ვიყავი ჩართული .....

არ ვიყავი ჩართული .....

2. ჩემთვის კლასელებთან ერთად დავალების შესრულება

საინტერესო და ნაყოფიერი იყო .....

არც ისე საინტერესო და ნაყოფიერი იყო .....

მირჩევნია დამოუკიდებლად მუშაობა .....

3.

	ხშირად	იშვიათად	არასდროს
ვცდილობდი, აზრი დამესაბუთებინა			
ყურადღებით ვუსმენდი სხვებს			
ვცდილობდი, კამათი ჩხუბში არ გადაზრდილიყო			
ადვილად შემიძლია სხვისი შეხედულების გაზიარება			
ვიცავდი დროის ლიმიტს			

4. დამრჩა სათქმელი .....

სასწავლო რესური:

1. სახელმძღვანელო, ისტორია, VIII კლასი, ავტ.: გ. სანიკიძე, ლ. გორდეზიანი, რ. გაჩეჩილაძე, ზ. მიმინოშვილი; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა;
2. სქემა „ხე“;
3. ცხრილი: ჯგუფური მუშაობის ეტაპები;
4. ცხრილი: ჯგუფებში დამუშავებული თემები;
5. რეფლექსიის დაწერის გეგმა-შაბლონი;
6. თემის შეფასების რუბრიკები;
7. თვითშეფასების კითხვარი ჯგუფის წევრებისთვის;
8. მასწავლებლის რეფლექსია;
9. ჯგუფში მუშაობის წესები;
10. კომპიუტერი, პროექტორი;
11. PowerPoint-ით შესრულებული პრეზენტაცია.

ვფიქრობ, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს შეესაბამებოდა როგორც გაკვეთილის გეგმა, ასევე, ჩატარებული გაკვეთილიც. მოსწავლეებთან ერთად მივაღწიე გეგმით განსაზღვრულ შედეგს. მისაღწევი შედეგებიდან გამოვყოფ ჯგუფური მუშაობის პროცესის ანალიზს და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. ყველაზე მნიშვნელოვანი, ჩემი აზრით, მაინც ის არის, რომ მოსწავლეებმა კარგად ისწავლეს, როგორ დაწერონ თვითშეფასება//რეფლექსია. ამ ასაკში, ბავშვების დაფიქრება თვითშეფასებაზე და ამის წერილობითი ფორმით გადმოცემა (რა თქმა უნდა, ჩემ მიერ მიწოდებული კითხვარის დახმარებით) ამ გაკვეთილის ყველაზე დიდი შედეგია.

ჯგუფური მუშაობის გამოყენება გაკვეთილზე, რომლის მიზანიც იყო სწორედ ჯგუფური მუშაობის პროცესში მიღებული გამოცდილება, საკმაოდ ეფექტური გამოდგა. შეიძლება გადაუჭარბებლად ვთქვა, რომ გაკვეთილზე მუშაობის პროცესში ყველა მოსწავლე იყო ჩართული, ყველას სურდა აზრის გამოთქმა. მოსწავლეები, ურთიერთდახმარებით, საკმაოდ რთულ დავალებებს ართმევდნენ თავს (მაგალითად, მესამე აქტივობის ცხრილის შევსებას). ამ ცხრილზე მუშაობისას ბავშვებზე დაკვირვება მაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ის პერიოდი, როცა ჯგუფური მუშაობისა და თემის დაწერის უნარის განვითარებაზე ვზრუნავდი, ნამდვილად შედეგიანი იყო. მოსწავლეების მიერ დაწერილი თემები (შემაჯამებელ გაკვეთილზე) დამაკმაყოფილებელი შედეგებით გამოირჩეოდა.

გაკვეთილის მსვლელობისას, მოსწავლეებმა საინტერესო პარალელები დაძებნეს, როცა პირველი აქტივობის დროს უნდა შეედარებინათ რევოლუციისა და ჯგუფური მუშაობის პროცესი. სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი მოსწავლეთა პასუხებით. განვლილი სამუშაოს ანალიზის პროცესში ზოგიერთმა მოსწავლემ კარგად გაიაზრა ამ ტიპის გაკვეთილების მნიშვნელობა. ერთი-ორმა ისიც კი აღნიშნა, რომ მათი რეფლექსია უკვე ცოტა ზედაპირული ეჩვენებათ და ახლა სხვაგვარად დაწერდნენ. აღსანიშნავია, რომ თემის პრეზენტაციის სწავლის პარალელურად, დაწერილ თემებს იმდენჯერ მიუბრუნდნენ, რომ თითქოს „ძალისხმევის გარეშე“ ისწავლეს საფრანგეთის რევოლუცია. მაგრამ ამ საინტერესო პროცესში ყველა მოსწავლე არ იყო ჩართული.

ჯგუფური მუშაობის წესების განხილვა იყო ამ გაკვეთილის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. მსგავსი აქტივობები, ვფიქრობ, ხელს უწყობს სოციუმში (ამ შემთხვევაში ჯგუფში, კლასში და, შემდეგ, უფრო ფართო საზოგადოებაში) ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდას.

ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია მოსწავლეთა შორის ჩემმა რეფლექსიამ, რომელიც საფრანგეთის ისტორიის შესწავლის პროცესში ჯგუფური მუშაობის გამოყენების პროცესზე დაკვირვებას ასახავდა. ბავშვებს უნდა შეეფასებინათ ჩემი რეფლექსია. ამასაც წარმატებით გაართვეს თავი.

ამ გაკვეთილის ხელახლა ჩატარების შემთხვევაში, აუცილებლად შევცვლიდი ბოლო აქტივობას. დავალება, რომელიც სახლში შესასრულებლად განვსაზღვრე და დავალებად მივეცი, უმჯობესი იქნებოდა, იქვე შეესრულებინათ. ამით კავშირი, გაკვეთილის დასაწყისსა და დასასრულს შორის, კლასშივე შეიკვრებოდა.

ამ გაკვეთილზე შეძენილი გამოცდილებით განვსაზღვრე:

- ეს კლასი უკვე მომზადებულია იმისთვის, რომ შევთავაზო დავალებები, რომლებიც მაღალ სააზროვნო უნარებს მოითხოვს. დავალებების სიმარტივემ შეიძლება სასწავლო პროცესის მიმართ უინტერესობა გამოიწვიოს;
- უფრო მეტად მივაქციო ყურადღება წერის და მეტყველების კულტურის განვითარებას;
- სწავლისა და მუშაობის პროცესის ორგანიზება-დაგეგმვაზე ბავშვებს მომავალშიც უნდა შევთავაზო სხვადასხვა ტიპის აქტივობა;
- სასურველია, ბავშვები იმ გამოცდილებაზე დაფიქრდნენ, რასაც ყოველი გაკვეთილიდან მიიღებენ, ეს ხელს შეუწყობს მოტივაციის ამაღლებას;
- ვერ მოვახერხე ამ პროცესში 2-3 მოსწავლის ჩართვა. ამ მიმართულებით სწორად უნდა დავგეგმო სამუშაო;
- უფრო ხშირად უნდა მოვუსმინო მოსწავლეებს სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებით.

დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ეს გაკვეთილი ძალიან შედეგიანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩემთვის და ჩემი მოსწავლეებისთვისაც.

პირიმზე რურუა

ბათუმის წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის სკოლის ისტორიის წამყვანი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა
http://ncp.ge/ge/sazogadoebrivi-metsnierebebi/shesavali

საუბრები ლიტერატურაზე

აკაკისეული ლიტერატურული პროცესები

„აკაკით გამორჩეული და მნიშვნელოვანია ლიტერატურული პროცესი – XIX საუკუნე. უჭირდა აკაკის დროს საქართველოს. ქართველობა თვალს ახელს, მაგრამ სავსებით თავი ვერ შეუცვნია. ენას იდგამს, მაგრამ სიტყვა ცეცხლით ვერ გაუხსნია. ნებას ამახვილებს, მაგრამ სრულებით ვერ უფოლადებია. საქართველო როგორც მთლიანი ერთი, როგორც ცოცხალი არსი, არ არსებობს. მის ადგილას ნამტვრევები ხმაურობენ მხოლოდ. აკაკი ამ ტრაგედიის განმასახიერებელია. შეუცნობლად გრძნობს, რომ საქართველოს სხეული დალეწილია და ცდილობს შეუცნობელი მისი ფერფლისაგან ლანდი წარმოშობოს. იგი, საქართველოს სული ვით ლურჯი ფრინველი მოჰფრინდება კიდეც და აკაკიც ეტრფის მას მუდამჟამს. ნინო-ქეთევან, თამარ – ეს ლანდი ზღაპარია ან ლეგენდა, მაგრამ მგოსნისთვის უნამდვილესი, ვიდრე წვრილმანი და ფხიზელი დღევანდელობა. აკაკის საიდუმლო ფენომენი: აკაკის გენიის ნატეხობა. აკაკი წინამორბედია ახალი პოეზიისა. „ვარსკვლავნი მოჭიკჭიკენი“, – ეს ხომ პირდაპირ მოდერნისტული სახეობაა“ (გრიგოლ რობაქიძე, „აკაკის ქნარი“). აკაკი გედისებურ ორაზროვანია სწორედ... „საყვარელი ღმერთთა და ადამიანთა“. მუზა მისი ნარნარი, ნაზი, მსუბუქ-მფრთოვანი, არ იცოდა რა იყო ძალაობა, ცოცხლობდა ყვავილთა, მხიარულ ბავშვთა სიცოცხლით. მის ღიმილს ნაღველს ურევდა ივერიის ტურფა ასულის სევდის ჩრდილი. ირონიას წარმოშობდა მხიარული ვაი, სიხარულის იქით მწუხრი იფარება ნისლოვანი. გამოუთქმელის იქით უთქმელი და უტყვი იმალება, უფრო ნამდვილი, უფრო უტყუარი. სათავე აკაკი წერეთლის შემოქმედების ბუნებისა – „სევდიანი ღიმილი“.

გალაკტიონ ტაბიძე აკაკი წერეთლის შესახებ წერს: *„ის ნამდვილი სერვანტესი იყო ხუმრობაში, ნამდვილი ბაირონი მწუხარებაში, ნამდვილი ჰაინე – ეროტიზმში და შეუდარებელი მოქალაქე – მამულის სიყვარულში“.* ცხადია, აკაკი საქართველოს „სიკეთის ხის“ სიმბოლოა.

აკაკი სხვანაირი, გამორჩეული პოეტია. მისი ცხოვრება მამულის მსახურების ძნელადსავალი, ეკლიანი გზაა. სიმართლე, ჭეშმარიტება, ხატი და ჯვარი, თვით ღმერთიც მისთვის საქართველო იყო, თავს „გარემოების საყვირს“ (მეტაფორა) უწოდებს, ბუნებით საიდუმლო ძალთა გამტარი, იდუმალი სიწმინდე – უფალი ნიშნებს გვიგზავნის. მაინც როგორია აკაკი? *„აკაკი რთული პოეტია, ნათელი და გასაგები“* (ნოდარ წულეისკირი). ის საზოგადოებას მიმართავს, *„ნუ მკითხავ მნახო უგნურად, ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა“,* ხელისუფალი ღმერთია.

აკაკი წერეთელმა ქართველი კაცი სალოცავად ხატის წინ მიიყვანა და გულში სამშობლოს სიყვარული ჩაუნერგა, ჩაუდგა წინაპრების რაინდული სული. სამშობლო თან უნდა ატარო, თუნდაც იყო მისგან შორს, ოცნება აუცილებელია. თუკი ცხოვრობთ, დაფიქრება გჭირდება. კარგავ სამშობლოს, კარგავ მეობას. სამშობლოს ხსნა ეროვნული ტრადიციის დაცვას, ქართულ ენას შეეძლო და ვინარჩუნებდით დამოუკიდებლობას. სწორედ სამშობლოს გადარჩენის გზა არის მოთხრობა „ბაში-აჩუკი“. მდინარე არაგვი საქართველოს სიმბოლოა. მდინარესავით დროებით შეჩერებულია ეროვნული ენერგია, მაგრამ ეძებს ხსნას. მოზღვავდება და კიდეც იპოვნის, *„კვნესა-დუდუნით გადადის ზემოატეხილი ჭალებისაკენ“.* ეროვნული ენერგეტიკა იმძლავრებს და საქართველო გათავისუფლდება, ყოველი დღე ინტეგრალური, მთლიანი და შეუნაცვლებელია. მეჩვიდმეტე საუკუნის საქართველო მეცხრამეტეს ანალოგიაა. რუსეთის პოლიტიკა ირანის შაჰის ქმედებისგან არ განსხვავდება. ნათელი დაიფარა, გველეშაპია შემოხვეული ალავერდის ტაძარს და ქართველობას ლოცვის ნებას არ აძლევს, მეტიც, ეკლესიის სიწმინდეს იყენებს ქვეყნის დასაპყრობად, სპობს ქართველებს. გადარჩენა უფლის ნებაა. წმინდა გიორგი უშველის ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს, სამ გმირთან ერთად. სიზმარი ქვეცნობიერის გაცნობიერებაა, მოსახდენის იდუმალი მეტყველებაა. მტერი ძლიერი და ვერაგია. შაჰ-აბასმა მუსრი გაავლო კახეთს, დაანგრია ციხე-ტაძრები და მრისხანებით თემურ ლენგსაც გადააჭარბა. მისთვის საქართველო „ნატვრის თვალია“ და ჯერ კიდევ უძლებენ ქართველები. ბიძინა ჩოლოყაშვილს სამშობლო ტკივილამდე დასული სიყვარულით უყვარს. არ მინდა, რომ ის გადამივარდეს გულიდან, რაც სიკვდილამდე უნდა მახსოვდეს, ვეტრფოდე, – ასე მოიაზრებს სამშობლოს. მისთვის ის მალამო, მკურნალია, სისხლხორცია. მას სჯეროდა, რომ სამაგიეროს უცხოეთში ვერ მიიღებდა. რაღაც ღონე იყო საჭირო, რაიმე ხერხის გამონახვა ქვეყნის დასახსნელად. ხალხური სიმღერა ეროვნული სულის გამოვლენაა. „ოროველამ“ შთააგონა ბიძინას ხერხი საზოგადო და არა საპირადო, ცრემლამდე ევედრა სიყვარულით ღვთისმშობლის ხატს ქვეყნის გადარჩენას. წმინდა მოწამეობრივი სისხლის დაღვრას საქართველო ჩვეულია, დაიღვარა და შაჰ-აბასიც დამარცხდა. მტერმა შური მაინც იძია. ბიძინა, შალვა და ელიზბარი შეიწირა. ეს გზა დიადი, ნაღვლიანი და მძიმეა.

საქართველოს სხვა მადლი, სხვანაირი სითბო აქვს. არ გვაქვს უფლება მივატოვოთ, ჩვენ, ფოთლებმა და სამშობლოს ფესვები არ გადავარჩინოთ.

ერთ უცნაურ, ფარულ პოლემიკას უნდა შევეხო. ეს არის საყოველთაოდ ცნობილი „სულიკოს“ მიმართება ვაჟას ლექსთან „სამეფო სიყვარულისა“. უცნაურს იმიტომ, რომ „სამეფო სიყვარულისა“ 1894 წელს დაიწერა, მაგრამ არც აკაკის და არც ვაჟას სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. როგორღა შეიძლება მსჯელობა ამ ლექსთან აკაკის „სულიკოს“ (გამოქვეყნდა 1895 წელს) მიმართებაზე?

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა აკადემიურ გამოცემებში აღნიშნულია, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტის ვაჟას ფონდში დაცულია ერთად შეკინძული პატარა კრებული, რომელშიც მოთავსებულია ავტოგრაფი სამი ლექსისა: „სამეფო სიყვარულისა“, „ათასჯელ მოხვალ, იავო“, „შავი ღრუბელი“ და ლერმონტოვის „დემონის“ თარგმანი. როგორც გამომცემელნი გვამცნობენ, „სამეფო სიყვარულისას“ ბოლოს, ფრჩხილებში, ავტორის ხელით მიწერილია: გაგზავნილია „მოამბის“ V-სათვის, 1894წ. „სამეფო სიყვარულისა“ ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა.

სად შეიძლებოდა გაცნობოდა აკაკი წერეთელი ლექსს „სამეფო სიყვარულისა“? გამორიცხული არ არის, აკაკის ეს ლექსი „მოამბის“ რედაქციაში წაეკითხა, 1894 წელს, სადაც ვაჟას მინაწერის თანახმად, გაგზავნილი იყო. სავარაუდოა, ასევე, ლექსს „კვალის“ რედაქციაში გაცნობოდა. ეს, როგორც რედაქციის თანამშრომელს, სამსახურებრივად ევალებოდა. აკაკის შესაფასებლად გადასცეს და დაიწუნა.

1894 წლის 2 აპრილს ვაჟა-ფშაველა უგზავნის საყვედურის წერილს „კვალის“ რედაქტორს, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას. ვაჟას საყვედური იმან გამოიწვია, რომ „კვალის“ რედაქტორმა არ დაბეჭდა მისი, რომელიღაც ნაწარმოები თუ ნაწარმოებები (წერილში ნათქვამია – „მასალა“) იმ მიზეზით, რომ რედაქციის წევრმა, აკაკი წერეთელმა დაიწუნა. ვაჟა მიმართავს „კვალის“ რედაქტორს: *„მე თვითონ დიდ პატივს ვცემ აკაკის ნიჭსა და მოღვაწეობას, მაგრამ ისე კი არა... რომ საკუთარის თავის პატივისცემა ზედ ხელი ავიღო ან საკუთარ მსჯელობა ზედ, საკუთარ შეხედულება ზე ამა თუ იმ საგან ზედ!“.*

როგორც ითქვა, ჩვენთვის საინტერესო „სამეფო სიყვარულისა“ ავტორის სიცოცხლეში არსად დაბეჭდილა. ეს სწორედ აკაკის მიერ დაწუნებული ის ლექსი უნდა იყოს, რომლის თაობაზეც აცნობა „კვალის“ რედაქტორმა ვაჟას და პოეტის საყვედურიც დაიმსახურა. ამიტომ ვვარაუდობ – აკაკის, როგორც „კვალის“ რედაქციის თანამშრომელს, წაკითხული აქვს „სამეფო სიყვარულისა“. ამ განცხადების საფუძველს, დოკუმენტურ მონაცემებზე არანაკლებ, ვაჟას ლექსისა და აკაკის „სულიკოს“ გაანალიზება, მათ აზრობრივ შინაარსზე დაკვირვება მოგვცემს, მაგრამ მანამდე უპრიანია, ორიოდე სიტყვით აკაკის მსოფლმხედველობას, მის რელიგიურ მრწამსს შევეხოთ.

აკაკი წერეთელი საკმაოდ ღრმა რელიგიური განცდის პოეტია, ღრმად არის განმსჭვალული სამყაროს ღვთაებრიობის განცდით, გრძნობს და გვაგრძნობინებს, *„რომ არის ზეცა აღვსილი რაღაც ძალით საგ ზნობით“.* ამგვარი „გ ზნება“ უნეტარესი განცდაა; ამგვარი „გ ზნება“ გონებაზეც აღმატებულია. ამიტომ დაიჩივლა ხმამაღლა – *„მაგრამ გონი მიბამს ენასო“.*

ვაჟას ლექსში „სამეფო სიყვარულისა“ ლირიკული გმირის მიერ სატრფოს ძებნა გვირგვინდება სამოთხის ხილვით, სადაც უკვდავების წყაროც არის და სამოთხის ხეც ცნობადისა, ოღონდ გველი ვეღარ აცდუნებს ევას და ვეღარც ბოროტება ბოგინებს. სამეფო ტახტზე სიყვარული ზის და კაცთა თუ პირუტყვთა გრძნობებზე მბრძანებლობს. სწორედ სიყვარულის ძალით ლომი და ვეფხვი აღარ მტრობს ირემსა და შველს, ქორ-შავარდენი – კაკაბსა და გნოლს; ერთმანეთზე საომრად გამზადებული მოლაშქრენი, თავის მეფიან-მხედრიანად, ხმალ-იარაღზე და ურთიერთმტრობაზე ხელს იღებენ და ცა და ხმელეთს *„ვეღარა ჰღებენ კაცის სისხლითა“.* პირიქით, შეჰხარიან ერთმანეთს... დასკვნა პესიმისტური, სამოთხე მირაჟია. *„თხა და მგელი ერთად ძოვდეს“* – სიზმრისეული მოჩვენებაა. ისიც აშკარაა, რომ ქვეყნიერება იმის საპირისპიროდაა მოწყობილი, რასაც სამოთხის სურათი გვიხატავს. ამას გვეუბნება ვაჟას ლექსის ქვეტექსტი, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს სამყაროს ღვთაებრიობას, ამქვეყნად ღვთაებრივი სიყვარულის არსებობას.

როცა ვაჟა ლექსში „სამეფო სიყვარულისა“ იტყვის: *„სატრფო დავკარგე, იმას ვეძებდი, შემოვიარე მთელი ქვეყანა“,* არ შეიძლება ამ ორმა ტაეპმა „სულიკოს“ დასაწყისი სტრიქონები არ გაგვახსენოს: *„საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვერ ვნახე, დაკარგულიყო“.* შეგნებულად არ ვანიჭებ უპირატესობას ქრონოლოგიას, რომელი ლექსი შეიქმნა უფრო ადრე. ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მეხსიერებაში „სულიკოა“ აღბეჭდილი. ამას ხელი შეუწყო, ვარინკა წერეთლის წყალობით, ლექსის სასიმღერო მელოდიად ქცევამაც (პირიქით, „სულიკოს“ პოეტურმა მშვენიერებამ დაბადა უკვდავი მელოდია).

ამჯერად, ჩვენი მსჯელობისათვის არსებითი მნიშვნელობა იმას აქვს, თუ რას ნიშნავს, რას გულისხმობს ვაჟას მიერ ნახსენები „სატრფო“ ან აკაკის „საყვარელი“ და „სულიკო“? ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში იმ პოეტის ქმნილება დაგვეხმარება, რომელსაც აკაკიც და ვაჟაც დიდ პატივს სცემდნენ. ეს არის დავით გურამიშვილი და მისი „დავითიანი“.

აკაკიმ იონა მეუნარგიას ანკეტის შეკითხვას, თუ ვის პოეზიას აფასებდა ყველაზე მეტად, უპასუხა: *„პოეზია დავით გურამიშვილისა“.* ვაჟა თავს გურამიშვილის სულიერ მემკვიდრედ მიიჩნევდა: *„შენ ჩემო წინამორბედო, უძვირფასესო პაპაო!..“* აკაკისაც ჰქონდა ამ სიტყვების გამეორების უფლება. სწორედ „დავითიანში“ ერთი კონკრეტული ფრაზა „ზუბოვკას“ რეფრენად გასდევს: *„სად წავიდა, ვერა ვნახე ჩემი საყვარელი“.* ეს სიტყვები ღმერთის ძიებაზე მიგვანიშნებს. „საყვარელი“ აღორძინების ხანის პოეზიაში, ისევე, როგორც „სატრფო“, მაცხოვრის ეპითეტია. ვახტანგ მეფე (VI) „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში გარკვევით აცხადებს: *„საყვარელ ქრისტეს ჰქვიან: „დავითიანშიც“ მკაფიოდ ჩანს ეს – „მომიკლეს მე საყვარელი, ძე ღვთისად თხრობილი“.* „ზუბოვკა“ ჩვეულებრივი სატრფიალო, სამიჯნურო ლექსია, მაგრამ, როგორც კორნელი კეკელიძე განმარტავს: გურამიშვილთან „ქალისადმი ტრფობასა“ და მიჯნურობაზე ლაპარაკი არაა... ამ ლექსში, ისევე როგორც ვახტანგ მეფისა და მამუკა ბარათაშვილის ნაწერებში... იგულისხმება მაცხოვარი. ასე რომ, როგორც ვაჟას, ისე აკაკის ლექსის არსებითი შინაარსი გურამიშვილის სტრიქონებს ეყრდნობა, მისი ვარიაციაა. ვნახოთ:

„სად წავიდა, ვერა ვნახე, ჩემი საყვარელი...“
„აწ შენ, ჩემო საყვარელო, იმყოფები სადა?“
(„დავითიანი“)

„სატრფო დავკარგე, იმას ვეძებდი,
შემოვიარე მთელი ქვეყანა...“
„მე კი ვიძახდი: სატრფოვ, სადა ხარ,
რად არ მაჩვენებ შენსა სახესა?“ („სამეფო სიყვარულისა“)

„საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე, დაკარგულიყო...“
„სადა ხარ ჩემო სულიკო?“
(„სულიკო“)

მიუხედავად ამისა, ვაჟას მაინც საპირისპირო დასკვნა გამოაქვს, აკაკის ლექსის აზრობრივი შინაარსი კი სრულ თანხმობაშია გურამიშვილის მრწამსთან – *„ღვთის გამო ქმნილ არს ყოველი, არს მყოფობს რაც ნივთიერი“.* თუ ამ მრწამსს „სულიკოზე“ გავავრცელებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცაზე მოკიაფე ვარსკვლავი მნათობიც არის და ღვთის შემოქმედების მაუწყებელიც. ბულბული თუ ვარდი ღვთაებრივი შემოქმედების გამოვლენაა, მათი არსებობა შემოქმედზე მიანიშნებს. ამდენად, აკაკის აზრით, მატერიალური სამყარო ღვთაებრივის ნიშანია, მისი გამოვლენა, მისი განფენა, ემანაცია. აკაკის ლექსში საყვარლის საფლავის (სამყოფელის), მისი საუფლოს თუ სამკვიდრებლის ძიება, ღმერთის ძიებაა. შფოთავს ლექსის ლირიკული გმირი და მხოლოდ მაშინღა დამშვიდდება, როცა გაიცნობიერებს, რომ ღმერთი ყველგან არის, ყოველ არსსა თუ არსებაში ღვთაებაა განფენილი, ყოველივე ღვთის გამოვლენაა – მიწაზეც (ვარდი), ცაშიც (ბულბული), შორეულ კოსმიურ სივრცეში (ვარსკვლავი).

„სამად დაშლილია ის ერთი – ვარსკვლავად, ბულბულად, ვარდადო“, – ქრისტიანული სამება, სამად დაშლილი ერთი, სევდის მიზეზი, დაკარგული საფლავის, ღმერთის ძიებაა. პიროვანი ერთარსების გამოვლენას შეიცნობს და გამოუთქმელი ღვთაებრივი ნეტარებით აღივსება – *„რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს, ვერ გამომითქვამს ენითა“.* ვაჟას ლექსი „სამეფო სიყვარულისა“ ნაკარნახევია რეალური ვითარებით, ყოფიერებით გამოწვეული სკეფსისის განცდა, უფლის ხელით შექმნილი მატერიალური სინამდვილე ადამიანურ ბიწიერებას მოუცავს.

აკაკი ვაჟას ლექსს „სამეფო სიყვარულისა“ „სულიკოთი“ პასუხობს. მოგვითხრობს მატერიალურის ღვთაებრიობაზე, ყოველივე არსებულის ღვთაებრივი ნებითა და ძალით გამსჭვალვის შესახებ. ვაჟას ლექსმა უბიძგა აკაკის, მზერა მიემართა ჭეშმარიტად პოეტური, ირაციონალური სამყაროსაკენ, კიდევ ერთხელ მიაბრუნა დავით გურამიშვილის პოეზიისაკენ. „სულიკო“ მთელ პოეტურ მსოფლიოს მოიცავს. ის, რაც შენი, იოლი, ხელმისაწვდომი და გასაგები გგონია, სინამდვილეში გარემოსილია იდუმალების ნისლოვანი საბურველით. ეს ლექსი იწყება იქიდან, სადაც უკვე დამთავრდა რაღაც დიდი და დიადი ტრაგედია!

„საყვარლის საფლავს ვეძებდი...“ – ვინ იყო ის საყვარელი? რა მოხდა, სად დაიღუპა, რისთვის? რატომ დაიკარგა საფლავი?

კითხვები ჩნდება, მაგრამ აკაკის ფრაზა მიმნდობია, სავსე ჯადოთი, ფიქრობ და ეძებ საყვარლის საფლავს. სამყარო მოსილია იდუმალებით (*„პოეზიის საფუძველთა საფუძველი“* – პოლ ვალერი).

არაფერია დაკარგულ საფლავზე საბრალო, ბალახგადავლილ და უპატრონო სამარეზე საცოდავი. მოხდა დიდი უბედურება – ბალახებში ჩაიკარგა საყვარელი საფლავი, ცხოვრების ავბედითობის გამო ხავსმა და გვიმრამ გადაუარა. სიცოცხლე საფლავით არ იწყება, საფლავით თავდება. „სულიკო“ სწორედ ასეა დაწყებული. საფლავი ეფემერულია, „სულიკო“ უკიდეგანო სამყაროში განფენილი მშვენიერების თავმოყრაა. გვესმის გატანჯული ძახილი თანაგრძნობისათვის (რეფრენი – *„შენ ხომ არა ხარ სულიკო?“*). აკაკი ყველგან თანხმობის ჰარმონიის მაძიებელია. არასიტყვიერ პასუხს იღებს (ეს მინიშნებით ხდება და იმ წამს ნიავიც ჩურჩულებს – საწადელს უკვე მიაღწიე, *„მორჩი და მოისვენეო“.* წარმოსახვაში ბრწყინდება თავისებური სამება. მთელი ცხოვრება ეძებდა და გასაკვირი აღარაა უსაზღვრო სიხარული, რამაც გამწარება, ჭმუნვა, ვაება სასიკეთოდ შეცვალა. უჭკნობი მშვენიერების ერთიანი ხატი – ვარდი, ბულბული, ვარსკვლავი. „მშვენიერება გადაარჩენს კაცობრიობას“ (დოსტოევსკი).

აკაკი გამორჩეული დეკლამატორი იყო. ხშირად მონაწილეობდა ლიტერატურულ საღამოებში, დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებული იყო მისი ხმით. კერძოდ, აღსანიშნავია 1911 წელს, თელავში, ილია ჭავჭავაძის ხსოვნის საღამოზე აკაკის გამოსვლა. *„...სთხოვენ ლექსის თქმას. ის ადის სცენაზე, თითქმის ავსებს სცენას თავისი სიდიადით. ვერცხლის თმები ორეოლივით ადევს, რა მშვენიერია! აკაკი დიდხანს დგას, ფიქრობს, იწყებს: „მთაწმინდა ჩაფიქრებულა...“. ისეთი სიჩუმეა, ბუზი რომ გაიფრენს, გავიგონებთ... „დედაშვილობას, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“ – ისეთი სიძლიერით იტყვის, რომ დარბაზში კვნესასავით მოისმის. ყველა გაფითრებული შეჰყურებს აკაკის. თეატრი სდუმს, აკაკი დგას. უეცრად ისეთ აღტაცებაში მოდის ხალხი, რომ ილიას საღამო აკაკის საღამოდ იქცევა“* (მოგონება).

აკაკის პოეზია ლოცვაა. მისი ადამიანობის უპირველესი საზომი სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავგანწირვა იყო. ამიტომ განიცადა 1887 წელს ზნეობრივი გმირის, მხეცურად მოკლული დიმიტრი ყიფიანის სტავროპოლში დაღუპვა. 1892 წელს დაწერა „განთიადი“, აღსავსე ღვთაებრივი მადლის სიტყვებით. ლექსი გონებას ამაღლებს და გრძნობაზე გადის.

ყიფიანების წინაპრებს სვანეთში უცხოვრიათ. ბაგრატ III-ის დროს ამ სოფელში ცხოვრობდა მორკინალი მეომარი გიორგი გოგიაძე. ხონთქრის წინააღმდეგ საბრძოლველად მეფეს გოგიაძე მიუწვევია, ისიც სოფელ მურთან დაბანაკებულა და შიკრიკი გამოუგზავნია. მე ის აქ მჭირდება, – უბრძანებია მეფეს. შიკრიკმა მოკრძალებით მიუგო თურმე, ის სტუმარია მეფეო, თქვენ მასპინძელი, სტუმარს იქ უნდა შეეგებოთო! ოჰ, ჩემო გიორგი გოგიაძე, რა ყიფიანი ყოფილხარ! – გასძახა მეფემ შეხვედრისას და გადაეხვია. მას აქეთ გოგიაძეებს დაერქვათ ყიფიანები (ყიფი – ამაყი, სულხან-საბა ორბელიანი). დიმიტრი ყიფიანის მამა სვანეთიდან სოფელ მერეთში გადმოსულა და ფურცელაძის ოჯახში ჩასიძებულა. ბარბარემ ოთხი ვაჟი და ორი ქალი მისცა. დიმიტრი ყიფიანი 1814 წელს დაბადებულა. დაამთავრა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი და იქვე მასწავლებლად დაუ-

საუბრები ლიტერატურაზე

ტოვებიათ. 1886 წლის თორმეტ მარტს სემინარიელს, იოსებ ლაღიაშვილს საცხოვრებელ ოთახში ეწვია სასულიერო სემინარიის ინსპექტორი, სემინარიელთა ჯალათი რექტორის, დეკანოზ ჩუდეცკის მარჯვენა ხელი იაკობ სტეპანოვი. გაჩხრიკა მისი წიგნები და ნაპოვნი აკრძალული ლიტერატურა თან წაიღო. ლაღიაშვილი მე-3 კლასიდან გაირიცხა. კუკიის სასაფლაოზე გამართული სემინარიელთა წრის მორიგ სხდომაზე, რექტორ ჩუდეცკის მკვლელობის საკითხის განხილვისას, მას განუცხადებია: „ჩუდეცკის მე მოვკლავ“, შეასრულა კიდეც. სამხედრო სასამართლომ, ეგზარქოს პავლეს თხოვნით, 20 წლით კატორღული სამუშაო მიუსაჯა. ეგზარქოსმა პავლემ დაწყევლა ქართველი ერი. დიმიტრი ყიფიანმა წერილი მისწერა: *„ან დალოცე ქართველი ერი ან წაეთრიე აქედან“.* ის სტავროპოლში გადაასახლეს. ეგზარქოს პავლე ლებედევს ბრალად ედებოდა დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაში მონაწილეობა. მთავრობამ ბრილიანტის ჯვარი უბოძა და ყაზანში გადაიყვანა. დიდი მთავარი ჩამოსულა თავის მამულში, ბორჯომში. დიმიტრის მეუღლეს და ქალიშვილს, ელენეს გაუცვნიათ თავიანთი მდგომარეობა. ისიც დაჰპირებია დახმარებას: ვეცდები, პეტერბურგში ჩასვლისთანავე უკან დავაბრუნო. მართლაც, გაიძახეს პეტერბურგში განმარტებისთვის მოხუცი, შემდეგ კი მოკლული იპოვეს ოთახში. 1887 წლის გიორგობის თვეში თბილისში ჩამოასვენეს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ყოფილა აკაკის სიტყვა: *„შენი სიცოცხლის დროს სიამოვნებითა და მონიწებით შენ წინ თავდახრილი, დღეს მწუხარებით მოვიდრეკ მუხლს, რომ უკანასკნელად თაყვანი ვსცე შენს გაციებულ გვამს, ავაზაკებისაგან სიცოცხლე დამწარებულს. უმეტესმა ნაწილმა იმერეთისამ, შენზედ მგლოვიარემ, არ იცის რაგვარის გვირგვინი უნდა გადმოგვხუროს, დაფნისა თუ ყვავილების... არა არცერთი. ეგ ხომ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ჩვენში, შენ კი, რომლის სიცოცხლეც და სიკვდილიც არაჩვეულებრივი იყო, შენ, რომელმაც ეკლის გვირგვინი ატარე, ჩვეულებრივი აღარ გაგებედებოდა და აღარც შემოგკადრეთ. და აჰა, ხელცარიელი, უგვირგვინოდ, ვდგევართ შენ წინ, მხოლოდ ცრემლებს ვაფრქვევთ გულწრფელად შენს ბედშავ, მაგრამ დიდებული კუბოს წინ. დეე, უღვთოდ, ურჯულოდ დანთხეულ შენს სისხლს შეეზიაროს ცრემლი სიმართლისა და გულწრფელობისა, რომ ორივე შეერთებულად წინ დაიდვას იმავე მომავლისათვის, რომელსაც შენ მთელ სიცოცხლეს სწირავდი და ღირსეული გახდი, რომ იწოდო ნამდვილ დიმიტრი თავდადებულად“.*

„მშვიდობით, ხორციელად ჩვენგან დაკარგულო, მაგრამ სულიერად საშვილიშვილოდ მოკავშირევ, ჩვენო დიდებულო მოძღვარო!“ – ილიას ხმა ჩაუწყდა, ქვედა ტუჩმა თრთოლვა დაუწყო, თვალებიდან ცრემლმა იდინაო. დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის დღეს გოლოვინის პროსპექტზე არავის უშვებდნენ, ეს ამბავი ქართველებმა კათალიკოს ალექსანდრეს მიუტანეს. მან ჯვარი აიღო ხელში და თქვა: „წინ ჯვარი“, გვერდით ილია და აკაკი ედგა. ასე ავიდნენ მთაწმინდაზე. ვერაგულად მოკლული მამულიშვილი მდუღარე ცრემლით დაიტირა სრულიად საქართველომ, 2007 წელს წმინდანად შერაცხეს. სწუხდა აკაკი, მწუხარე ექოს შობს მისი სიმღერა მთელ საქართველოში, მაგრამ ახლა სულის დაცემის დრო არ არის, აკაკი ხედავს სინათლეს, რომელიც მოდის შორიდან (გალაკტიონ ტაბიძე). მწუხარე ექო იყო „განთიადი“. დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალება-დაკრძალვა ეროვნული გამოღვიძების დასაწყისი იყო. *„განთიადი“ კაცის დაწერილი არ არის, ეს მის შესაძლებლობებს აღემატება. ეს ლექსი ღვთის ბაგიდან არის გადმოსული და ნაკარნახევი“.* დიახ, ეს ლექსი ჩურჩულით ნათქვამი ლოცვაა განთიადისას, ტკივილამდე დასული სამშობლოს სიყვარულია. გულში დაგუბებულმა ნაღველმა სადინარი იპოვა, ამაღლდა და ღვთაებრივი იერი შეიძინა. ალბათ, არაფერი შეესაბამება მამულიშვილთა მყუდრო სავანეში გაჭრილ წმინდანს ისე, როგორც განთიადის მაცნე ნათელით შემოსილი ცისკრის ვარსკლავი, ქვეყნის მწარე ბედზე ჩაფიქრებული და დადუმებული პერსონიფიცირებული მთაწმინდა. სწორედ აკაკის „განთიადის“ შემდეგ იქცა დიმიტრი ყიფიანი, ზვარაკი ადამიანური სიწმინდის, ეროვნული შეუდრეკელობის სიმბოლოდ. მამა-დავითის შესავედრებლად მთაწმინდა გულში იკრავს „ურჩი რაინდის“ „საშვილიშვილო სამარეს“, აქ ზეციური მადლია, „მნათობი სხივებს მაღლით ჰფენს“. ამის შემდეგ მგოსნის მონოლოგია უზენაესის მიმართ აღვლენილი, იშვიათი ძალის სილამაზის, რომელშიც ყოვლისმომცველადაა დახატული საქართველო (რვამარცვლიანი დაბალი შაირით).

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო“.

ნოდარ დუმბაძე ამბობს: ვეცადე და ასეთი სიტყვები ვერ დავწერე. ალბათ, მსგავსად ვერც ვერავინ შეაფასებდა აკაკის „განთიადს“, სევდიან გრძნობას საგრძნობლად აძლიერებს ზმნის თურმეობითი ფორმა („დავბრუნებულვარ“), მეტაფორა („სისხლის ცრემლები ვღვარეო“). სულიერი ობლობით განაწამები პერსონაჟი უცხო ქვეყნიდან ბრუნდება. ერთი სული აქვს „სისხლის ცრემლების დამღვრელს“, იხილოს მშობლიური გარემო. დადგა ნანატრი წამი, წინ იშლება კოსმიური სიდიადე, „გუნდი და გუნდი ვარსკვლავი“, ობლობა სამშობლოს უნახაობა არის (ნახვის მოუთმენლობა სისხლის ცრემლს აღვრევინებს – ჰიპერბოლა).

ემოციით, „გრძნობამორევით“ ამოითქვა:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო“.

ამ სიტყვებით დაადგა ფეხი, 1945 წელს, უცხოეთიდან დაბრუნებულმა ექვთიმე თაყაიშვილმა, ამ სიტყვებით ეფერებოდა შორიდან საქართველოს აკანკალებული ხელებით.

ვფიქრობ, ჯადოქრობა თვით მის პოეტურ მეტყველებაშია ჩამარხული, მუსიკაც, მელოდიურობაც ოსტატურადაა ასხმული, მისი სტრიქონების წიაღშია შეფარებული. აკაკის „განთიადი“ არის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები. „განთიადი“ მამულისა და მამულიშვილის შეხვედრის ზეაწეული განწყობილებაა. „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“, – სამჯერ მეორდება. წოდებით ბრუნვაში ადამიანის საკუთარი სახელია, აქ კი – საზოგადო სახელი („ფირუზ“, „ხმელეთ“). სამშობლო შემწირველია, მამულიშვილი კი გამწირველი. სამშობლო კურნავს გმირს, ბუნება თანაუგრძნობს.

აკაკის განსაკუთრებული აინტერესებს, ეძებს არაჩვეულებრივს და კიდეც პოულობს. ის ბულბულია, გედი და ორფეოსი, *„მისი სიმღერა ლოცვა არის საქართველოსი“* (გიორგი ლეონიძე). *„მოაცილე აკაკი საქართველოს და დიდხანს სიცარიელე არ შეივსება“* (არტურ ლაისტი). შეგვიძლია მისივე სიტყვები (ილია ჭავჭავაძის ცხედარზე წარმოთქმული) ვთქვათ: *„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგ ზოგიერთებს ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინ გაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ!“.*

თეონა კაციტაძე
საჩხერის ილია ჭავჭავაძის სახელობის №2 საჯარო სკოლის მოსწავლე

გამოყენებული ლიტერატურა:
1. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1952, ტ. II, გვ. 540-54).
2. ა. ბაქრაძე, ტ. I, 2004, გვ.435.
3. ა. გომართელი, კლასიკოსების ფარული მხატვრული პოლემიკა, „უნივერსალი“, თბილისი, 2014წ.

სასკოლო აქტივობა

რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს

სსიპ ქ.თბილისის 219-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **შალვა ხუციშვილი**) ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ, ტრადიციულად, 10-13 აპრილის ჩათვლით, სკოლაში დედა ენის კვირეული ჩაატარა.

კვირეულის მიზანი იყო მოზარდებში მშობლიური ენის სიყვარულის დანერგვა და მის უკვდავებასთან ზიარება. ყოველი მოსწავლის ვალია, მშობელ დედასავით მოეფეროს, შეიყვაროს და დაიცვას მამა-პაპათა ანდერძი: „მამული, ენა, სარწმუნოება“. ენა დედაა ერისა. კვირეულის დევიზი იყო გალაკტიონ ტაბიძის ცნობილი ფრაზა: „ილაპარაკეთ, ოღონდ ქართულად, ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ“. ერის გაძლიერება, აყვავება და განვითარება ქართული ენის სიწმინდის დაცვასა და მისი ღირსების ამაღლებაზეა დამოკიდებული.

I-IX კლასებში დედაენასთან დაკავშირებული ნახატების კონკურსი გამოცხადდა, ასევე, I-VI კლასების მასწავლებლებმა ჩაატარეს კალიგრაფიის კონკურსი. გამარჯვებული მოსწავლეების ნაწერები და ნახატები სპეციალურ დაფაზე გამოიფინა. მონდომებითა და დაკვირვებული თვალითაა შესრულებული თითოეული მათგანი. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები სიგელებით დააჯილდოვა.

13 აპრილს, დილის ხაზზე, 219-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ღონისძიება გახსნეს სტროფით:

„ქართული მარტო ენაა?!
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია, ბედისწერაა!
ზღვა როა იმოდენაა!“

წარმოთქვეს სიტყვები დედაენაზე, წაიკითხეს ქართველ პოეტთა ლექსები, ააჟღერეს სიმღერები, ერთმანეთს ეს ღამაზი დღე მიულოცეს. ყველას გააცნეს როდის და რატომ დაწესდა 14 აპრილი დედაენის დღედ, მოუწოდეს, არ დაანაგვიანონ და დაამახინჯონ ეს ძვირფასი მარგალიტი, უარი თქვან ბარბარიზმებითა და ჟარგონებით საუბარზე – „რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!“

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა კვირეულში მონაწილე მოსწავლეები დედა ენის ძეგლთან წაიყვანეს. დიდი შთაბეჭდილება დატოვა მათზე ამ დიდებულმა, ღრმაშინაარსიანმა ხელოვნების ნიმუშმა. მათ სამახსოვრო სურათები გადაიღეს, შემდეგ კი ყვავილებით შეამკეს 9 აპრილს დაღუპული ეროვნული გმირების მემორიალი. სანთლები დაანთეს ქაშუეთის ეკლესიაში, უფალს შესთხოვეს ერისა და მამულის აყვავება-გაბრწყინება.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა

ენა ბურჯია ეროვნებისა

ქართველი კაცის ისტორიაში 14 აპრილი შევიდა, როგორც ქართული ენის დღე. ამ დღისადმი მიძღვნილი ნამდვილი სახალხო დღესასწაული მოეწყო აბაშის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **რიტა გოგიშვილი**, სასწავლო ნაწილის გამგე – **ელეონორა არველაძე**). ღონისძიებას ხელმძღვანელობდა უფროსი მასწავლებელი, პრეზიდენტის ღირსების ორდენის კავალერი **რუსუდან გიგინეიშვილი**.

სკოლის ეზოში შეიკრიბნენ მოსწავლეები, პედაგოგები, მშობლები და სტუმრები. ღონისძიება გაიხსნა ფონოგრამით – „ო, ენავ ჩემო“, მცირე ექსკურსით შევედით ენის სამყაროში. გაიმართა ხატვის კონკურსი ასფალტზე: „ჩვენი ენა, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული“. ენა ძველ ქართულში მხოლოდ ენას კი არა, ეროვნებას, მოდგმას, გამოცხადებას ნიშნავდა. იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი“ ეხება არა მარტო ქართულ ენას, არამედ ქართველ ერს, ეთნოსს, მის კულტურულ მისიას. ქართული ენა იდენტიფიცირებულია ლაზარესთან, რომელიც ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა, ზოსიმემ ოთხი დღის მკვდარი ლაზარე ქართული ენის სიმბოლოდ მიიჩნია. ენაში ერის ფსიქოლოგიაც გამოიხატება, თუ ერმა ენა დაივიწყა, ის ერი განწირულია დასაღუპად.

საინტერესო იყო მეშვიდეკლასელების მიერ წაკითხული შოთა ძიძიგურის წერილი – „ენის წარმოშობა“ და ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტური წერილი „ენა“; დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა წაიკითხეს შოთა ნიშნიანიძის, გიორგი ლეონიძის, მუხრან მაჭავარიანის და სხვა პოეტების ლექსები დედაენის შესახებ, მეხუთეკლასელები კი ერთმანეთს ქართული ენის შესახებ დიდ მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა გამონათქვამების ცოდნაში ეჯიბრებოდნენ. საინტერესოდ იყო აღქმული ქართული ენის ღირსება და სიდიადე ნორჩი მხატვრების მიერ – ზოგმა მზეში ჩააქსოვა ქართული ანბანი, ზოგმა კი კოსმოსური ხომალდით, „ჩაკრულოსთან“ ერთად, კოსმოსში გააგზავნა, იასა და ვარდში ააყვავა ქართული ანბანის სილაღე და სილამაზე.

ქართული ენის დღე ორმაგ შინაარსს ატარებს: ერთი მხრივ, სასიხარულო ფაქტია, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი შევინარჩუნეთ, მეორე მხრივ კი, ვგრძნობთ იმ პასუხისმგებლობას, რასაც ამ თარიღის მნიშვნელობა გვაკისრებს. მჯერა, კეთილი მარცვალი გაღვივდება და მომავალი თაობა წინაპრების კვალზე ივლის.

გულიკო გოგიტიძე
აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის პედაგოგი, საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეას“ აკადემიკოსი



სასწავლო პროექტები

წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.

11 ლარი

ქართული I-VI კლასები

წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩაატარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



პროფესიული უნარები

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი

ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში

წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

15 ლარი

დაწყებითი კლასებისთვის

მასწავლებლის სამუშაო რვეული



4 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული



6 ლარი

ქათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

გავიმეოროთ მათემატიკა

წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. იგი ძირითად სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალაზეა აგებული, თუმცა შევსებულია ამოცანებით. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.

19 ლარი
(ერთი ცალი)

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი 17.70 ლ

ეროვნული გამოცდების სიმულაცია

გიორგი მეჟურჟლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

ეროვნული გამოცდების სრული სტანდარტის დაცვით შედგენილი ტესტები აბიტურიენტს საშუალებას აძლევს, გამოცდაზე გასვლამდე, გაიაროს ეროვნული გამოცდების სიმულაცია, ანუ შეძლოს ზუსტად იმ ტიპისა და სირთულის დავალებების შესრულება, როგორიც ეროვნულ გამოცდებზეა.

სახელმძღვანელოში განთავსებულია ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი უნიკალური რუკები, კონკრეტული ისტორიული ეპოქის გასაანალიზებლად.

15 ლარი

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე
7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი)
ნ. შარაშენიძე
8 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აბიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი



თამაზ ვასაძე
კოდექტი და ანალიტიკური ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
12 ლარი



ბიოლოგია
საატესტატო გამოცდებისთვის
ლ. ბურდილაძე, ნ. სარალიძე, ქ. გელრაძე, დ. ნაზირიშვილი
6 ლარი



ფიზიკა
საატესტატო გამოცდებისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერია
10 ლარი

თამარ ბერიაშვილი
ქართული ენის საბაზისო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
10 ლარი

„ახალი განათლებისა“ და „დიობენეს“ ეროვნული აქციის სკოლებისთვის



39.90 ~~49.90~~

ბოლო წლების საერთაშორისო ბესტსელერი, ყველაზე პოპულარული საგაზეთო შემეცნებითი წიგნი „რუკები“ 2012 წელს შეიქმნა პოლონეთში და მოიცავს ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ზოოლოგიური, ბოტანიკური, ზოგადკულტურული ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.

„რუკები“ უნიკალურია, კარგად გააზრებული იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ როგორც სასწავლო-პედაგოგიურ გარემოში, ისე ოჯახში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი კითხვისთვის. „რუკების“ მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თამაშებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი რუკა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ რუკაზე უამრავ საინტერესო ილუსტრაციას და მნიშვნელოვან ფაქტს ალმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში

საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის

წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“,
ბ/კ LBRTGE22
შეკვეთის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.